№ 2723
სამშაბათი,
11 იანვარი

ცნობის ფურცელი

№ 2723
სამშაბათი,
11 იანვარი

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пуриели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

2 იანვარს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ქალაქ სოხუმში გარდაიცვალა

კნეინა აგრაფენა დეკანოზ ფარნაოზ ქავთარაძის ასული ემუხვარისა,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **თავადი ვლადიმერ პახვალას ძე ემუხვარი** და **მამა დეკანოზი ფარნაოზ ქავთარაძე.** ჩვეულებრივი ტირილი იქნება 13 იანვარს სოფელ მერხეულში თავისს სასახლეში, ხოლო დაკრძალვა—იმავე დღეს ქალაქ სოხუმის სასაფლაოზე. (2—6—1)

ეფემია დავითის ასული შატილოვისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას (9 იანვარს ამა წელს) თავის შვილის სამთო ინჟენერის

პოლიევქტ ნიკოლოოზის ძის შატილოვისას

დაკრძალვა 11 იანვარს დაბა ქიათურაში ღვიმის დედათა მონასტერში. (1—11—1)

10 იანვარს გარდაიცვალა

სპირიდონ გიორგის ძე სიმონოვიჩი,

რასაც მწუხარებით აუწყებენ მეუღლე მისი, **ნანო იაკინთეს ასული, და შვილნი** ნათესავთა და ნაცნობთ. პანაშვიდები ყოველ დღე იქნება საღამოს შვიდს საათზედ. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ალექსანდროვის ქუჩა, № 25. (1—12—1)

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი. (**აბონემენტის გარეშე**)

ხუთშაბათს, 13 იანვარს **ბენეფისი** ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა. ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ახალი პიესა**

I
ჩვენი ნაცნობები
სცენები 1 მოქ. თხზ. კ. დოდაშვილისა.

II
ცოლი-უღლის მწეველი
დრამა 4 მოქმ. და 5 სურათ. გადმოკ. ი. ყაზბეგის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ხეზონის ბილეთები ამ წარმოდგენისთვის გაუქმებულია. მორიგი რეჟისორი: **მ. აბაშიძე.**

მზადდება „რუი ბლაზი“, „მეზობლები“, „კრიჭინა“, „სამშობლოს ბურჯი“ და სხვა.

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.

სამშაბათს, 11 იანვარს, 1905 წელს წარმოდგენილი იქნება:

„მანდარინის შვილი“ და **„სევილიელი დალაქი“.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დონსკაია, ორელი, ნიკიტსკაია, ხარიტონოვა; და სხ.; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი. სიკაჩინსკი, ობრაზცოვი, დემიანენკო, მურატოვი.

კაპელმეისტერი ეიხენვალდი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

12 იანვარს სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ „კარმენი“ და საკონცერტო განყოფილება.

გამგე ი. ა გეცევიჩი.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

მ. ზ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ. და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საზებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

პ. ა. ბეიჯი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. მ. მოჩინი.—ქალისა, საზებიო და ბავშვებისა, (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.

მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა—2—3 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

მრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ბ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ დღე გარდა კვირისა.—5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში დირს სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) ახალი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ბ.

ტელეფონი № 274.

ექიმ

ი. ა. გოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვუსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქუჩა № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—417—11)

კბილის ექიმი

ი. ზ. კანდელაკი

იღებს ყოველ გვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 80. მანველოვის სახლში. (30—399—28)

ქ. ბათუმში

ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის. ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—18)

ქ. ბათუმში

ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს ავადმყოფებს (შინაგანი, ვენერიული და საზებიაო) დილის 9—12 საათ. საღ. 4—6, სმეკალოვის ქუჩა, ვარძელოვის სახლი. (30—0101—12).

ექიმი

ა. ნ. თეთრაძე

სუდებნაია, სახლი № 24. აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—38)

კბილის ექიმი

ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი დიინისა № 12 „კოლიზეის“ გვერდით. (6.—18)

ექიმი

პ. ა. არდაზიანი

მიიღებს ბავშვების და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10. და საღამოთი 6—6½ საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 160. და დიდუბეში, სამოქალაქო საავადმყ. პირდაპირ თუთაევის სახლი. საღამოს 7—8. (30—18)

ექიმი

გ. ა. გედალინი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, გენერიულის კანის და საშარდის, ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.

გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. სახლი მარტიროსიანცის № 15. (30—18)

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

[illegible]ისში

[illegible] ექიმი

დავით [illegible] ქინაშვილი

გადავიდა **[illegible] ქუჩაზე** წმ. ნინოს ქალების გიმნაზიის პირდაპირ. იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე. (30—0198—7)

ექიმი

გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—33).

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

9 იანვარი

ვერხნეუდინსკი. რადგან აღმოსავლეთის ინსტიტუტი ვლადივოსტოკიდან უნდა გადმოიტანონ, ამურის მხარის გენერალ-გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქს თავს, დაუყოვნებლივ მონახოს სახლი 120 სტუდენტისა და 10 პროფესორისათვის, რომელნიც 20 იანვარს მოვლენ ვერხნეუდინსკში.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

9 იანვარი

ხუანშანი, 9 იანვარი. ამ სამი დღის წინად სადარაჯო სადგურებზე სროლა აუტეხეს იაპონელ მზვერავებს. ჩვენი მოხალისეები წინ წავიდნენ და სროლა აუტეხეს იაპონელებს. იმავე დღეს იაპონელებმა ზარბაზნები დაუშინეს ნოვოგოროდისა და პუტილოვის გორებს, სოფელ ხოუდას, ნედელის რედუტსა და იმ ადგილებს, სადაც ქვეითა ჯარის პოლკი დგას.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

9 იანვარი

პეტერბურგი. სიმართლეს მოკლებულია მოსკოვის ერთი გაზეთის ცნობა, თითქო პეტერბურგში დაერბიოსთ „ბირჟევია ვედომოსტი“-ს და სხვა გაზეთების ტიპოგრაფიები.

სიმფეროპოლი, 9 იანვარი. გაიხსნა საგუბერნიო საერობო კრება. დაადგინეს მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების აღსანიშნავად აზატიონ მცხოვრებლებს გადასახადიდან 60 ათასი მანეთი.

ობერჰაუზენი. თუმცა გაფიცვის მეთაურები ენერგიულად სცდილობდნენ დაეჯერებიათ მუშებისათვის განეგრძოთ გაფიცვა, მაგრამ 8 იანვარს ბევრი გამოჩნდა სამუშაოდ გამოსვლის მსურველი.

ათინა, თესალიაში მიწის ძვრა არ შეწყვეტილა. ერთი დაბა სრულებით დანგრეულია. მოკლულია და დაჭრილი რამდენიმე კაცი.—უკანასკნელ დღეების განმავლობაში ნიაღვრებმა აათხრეს სხვა-და-სხვა ადგილები. ზოგიერთ ადგას მიმოსვლა შეწყდა.

ბერლინი. ამ მოკლე ხანში დასრულდება მოლაპარაკება გერმანია-ავსტრიის სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ.

ყაზანი. ძალაში შევიდა სასამართლოს დადგენილება ჩაიკინის შესახებ.

ადესსა. 14 გრადუსი ყინვაა. რეიდი გაიყინა. გემების მიმოსვლა ყინულის მტეხელ გემთა მეოხებით სწარმოებს.

(დამის დეპეშები იხილე ცალკე ფურცელზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „კენიგ. ცაიტუნგ“-ი იუწყება: მარშალმა ოიამამ გამოაცხადა, რამწამს 60 ათასი მაშველი ჯარის-კაცი მომივა, მაშინვე წინ გავილაშქრებ, რომ რუსები საბოლოოდ განვდევნო მანჯურიიდანაო. („ნ. დ.“).

პარიზში ჰფიქრობენ, გენ. კუროპატკინი ამ ორიოდე დღეში გაილაშქრებს წინაო. საფრანგეთის სამხედრო წრეები ჰფიქრობენ, ამ ჟამად გენ. კუროპატკინს გაცილებით მეტი ჯარი ჰყავს იაპონელებზეო. კუროპატკინს ეხლავე შეუძლიან 340 ბატალიონით (ქვეითა ჯარით) გაილაშქროს წინ; იაპონელებს კი სულ 220 ბატალიონი ჰყავთო. („ნ. დ.“).

„დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი მეკენზი სწერს: რუსეთ-იაპონიის ომის ბედზე ამას იქით რუსეთის შინაგან მდგომარეობასაც დიდი გავლენა ექნებაო. („ნ. ვ.“).

„რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ნ. ობოლეშევი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: სწორედ შობის ორის დღის წინ სამწუხარო ცნობა მოგვივიდა, პორტ-არტური აიღესო... მართალია ყველამ ვიცოდით, რომ ციხე დიდ გაჭირვებაში იყო, მაგრამ მაინც როგორღაც არა გვჯეროდა, თუ იაპონელები პორტ-არტურს აიღებდნენ... წინა პოზიციებზე პორტ-არტურის დაცემის ამბავი უფრო ადრე გაიგეს, ვიდრე მუკდენში. 20 დეკემბერს საღამოს იაპონელების პოზიციებზე საკვირველი მხიარულება შენიშნეს. იქიდან მხიარული ხმაურობა, „ბანზაის“ ყვირილი ისმოდა; გათენების ხანს ამომავალ მზის ქვეყნის ბაირაღებიც გამოჩნდა. პირველად ჩვენებმა იფიქრეს, ალბად, იაპონელები ახალ წელიწადს დღესასწაულობენო, მაგრამ მალე სოფ. ლინშიპუში ხელით სასროლი ყუმბარა მიეგდოთ და ზედ შემდეგი ბარათი ყოფილიყო დაწერილი: „გატყობინებთ, რომ ჩვენებმა პორტ-არტური აიღეს. სტესელი დაჰმორჩილდათ. რასაკვირველია, გეწყინებათ, მაგრამ წინადვე უნდა მზად ჰყოფილიყავით. ეხლა წინ გამოილაშქრეთ. ჩვენც სიამოვნებით დაგიხვდებით. იაპონიის მომქმედი არმია.“

ვლადივოსტოკი. „რუსკია ვედომოსტი“-ს 5 დეკემბერს ატყობინებდნენ ვლადივოსტოკიდან: არა თუ გარედან მოტანილი საქონელი, ადგილობრივი საქონელიც გაძვირდა. არც ციხის უფროსებმა, არც ქალაქის თვით-მმართველობამ არავითარი ღონისძიება არ მიიღეს ქალაქში სანოვაგისა და საკვებ სურსათის დასამზადებლად. ქალაქის თვით-მმართველობა მდიდრებისა და კომერსანტებისაგან შესდგება, იმათი ინტერესი-კი ყველაფრის გაძვირებას უფრო მოითხოვს, ვიდრე გაიაფებას. თუმცა ვლადივოსტოკს შიმშილი არ მოელის, მაგრამ ამ გაძვირებას მაინც ბოლო არ უჩანს. ვლადივოსტოკს რომ პორტ-არტურის დღე დაადგეს, არა მგონია იმდენხანს გასძლოს. ბუხტა და ზღვა გაყინულია. ძლიერი ყინულის მჭრელი გემი „ნადეჟნი“ ორთქლ აშვებული დგას. ნავთ-სადგურში 4 გემი დგას. ამ გემებმა მაისში ქვა-ნახშირი მოიტანეს და საზღვაო სამინისტრომ თითონ გემებიც იყიდა დიდ ფასად.

წყნარ ოკეანის მესამე ესკადრა. დიდის გაჩქარებით ამზადებენ მესამე ესკადრას; თითქმის განუწყვეტლივ მუშაობენ; მუშებს გამოცდილი გემის ინჟენრები უწევენ ხელმძღვანელობას; ყოველ გემს თითო ინჟენერი ჰყავს მიჩენილი. ამ ჟამად უჩავთულო ტელეგრაფს ჰმართავენ, წვრილ არტილერიის, ტყვის მტყორცნელებს და საბრძოლ პროჟექტორებს სდგამენ; მესამე დღეა, რაც ყუმბარებს უდებენ; ნახშირის დება ჯერ არ დაუწყიათ, იმ დღეებში ყველა გემი მესამე ესკადრის უფროსად დანიშნულმა კონტრ-ადმირალმა ნებოგატოვმა დაათვალიერა. ნაღმიან გემ „გრემიაშჩი“-სა და ტრანსპორტ „დონ“-ის გასტუმრებას ჰფიქრობდნენ, მაგრამ ჯერ არ გაუსტუმრებიათ. („ნ. ვ.“).

„პეტერბურგსკია ვედომოსტი“-ს ლიბავიდან ატყობინებენ: იმპერატორ ალექსანდრე მე-III პორტში ჯავშნიან გემ „ადმირალ უშაკოვ“-ზე მეტად სამწუხარო ამბავი მოვიდა. ერთ მატროსს დიდი ბოთლი მიჰქონდა სპირტით, ფეხი გაუსხლტა და დაეცა; ბოთლი გატყდა, სპირტი დაიღვარა, ცეცხლისაგან იფეთქა,—აქვე ახლო მუშებს ცეცხლი გაეჩინათ. ამ უბედურ შემთხვევის დროს 14 მატროსი დაშავდა.

პორტ-არტური. პორტ-არტური ძლიერ იყო გამაგრებული და სამხედრო წრეებს მიუვალ ციხედ მიაჩნდათ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იმისი აღება შეუძლებელი იყო....

ვინმე „პოლიტიკი“ სწერს: „ნაში დნი“-ში: „რუსკია ვედომოსტი“-ს ნიჭიერი სამხედრო მიმომხილველი ამბობს, „1903 წელს ოქტომბერში, როცა ომი მოტანებული იყო, პორტ-არტურში გამართულ ნადიმზე პორტ-არტურის ციხე მიუვალად გამოაცხადესო (ეს წერილი „ცნობის ფურცელშიაც“ გვქონდა გადმოთარგმნილი). ეს ცნობა სწორე არაა. „ნოვოე ვრემია“-ში 1903 წელს 4 ივლისს (№ 9816) რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოს დეპეშაა დაბეჭდილი პორტ-არტურიდან 3 ივლის გამოგზავნილი. ამ დეპეშაში ნათქვამია: ქალაქმა საუზმე გამართა ტაძრის საძირკვლის ჩაყრის გამო. საუზმის დროს სამხედრო მინისტრმა (გენერალ-ადიუტანტმა კუროპატკინმა) სთქვა: „მტკიცედა მწამს, რომ ადგილობრივ მოღვაწეთა შრომის წყალობით, პორტ-არტური მიუვალ ციხედ იქცა ყველა მტრისათვის, რამდენიც უნდა იყოს ეს მტერი და საიდანაც უნდა მოვიდეს. ვსვამ ქალაქის აყვავებისა და კეთილ გენიოს-შემქნელის ევგენი ივანეს-ძე ალექსეევის სადღეგრძელოს. ურა!“ ისტორიამ ისეთი განმარტება მისცა ამ დეპეშას, რომ ჩვენი სუსტი კალამი ერთის სიტყვის დამატებასაც ველარა ჰბედავს.

„რეჩიტელნი“-ს უფროსად ნამყოფს ლეიტენანტ როშჩაკოვსკის უთქვამს: ტყუილია ის აზრი, ვითომ იაპონელებმა ბრანდერებით ზარალი არ მოუტანეს რუსის ფლოტსაო. ბრანდერებმა მეტად დიდი ზარალი მოგვიტანეს, თითქმის სულ მთლად შეჰკრეს პორტ-არტურის გასავალი. რუსის გემებს მხოლოდ თითო-თითოს, წეროებივით შეეძლოთ ნავთ-სადგურიდან გასვლა; იაპონელები სარგებლობდნენ ამით და რამწამს რუსის გემი ვიწრო გასავლიდან გავიდოდა, მაშინვე ზარბაზანს დაუშენდნენ ხოლმეო. („რ. ს.“).

გენ. სტესელი. „პტი პარიზიენ“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: გენ. სტესელი იმიტომ არ დარჩა ტყვედ იაპონიაში თავის არმიასთან, რომ საჭიროდ მიაჩნია უმაღლეს მთავრობას დაწვრილებითი მოხსენება წარუდგინოს პორტ-არტურის დაცვაზე. ამბობდნენ, სტესელი მარსელში გადავა ხმელეთზედა, პეტერბურგს მიმავალი, ბერლინზე გაივლისო. ბერლინში იმპერატორ ვილჰელმს წარუდგება და ორდენის ბოძებისათვის მადლობას გადაუხდისო. („ნ. დ.“).

„ნაშა ჟიზნ“-ი იუწყება, გენ. სტესელის საქმეს (პორტ-არტურის კაპიტულიაციის საქმეს) უსათუოდ გამოიძიებენო.

„დეილი მეილ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: ერთმა ტყვე რუსის აფიცერმა ილაპარაკა: დამორჩილების წინ გენ. სტესელმა უკანასკნელად დაიარა თავისი ჯარი. მეტად მძიმე წამი იყო. გენ. სტესელმა უთხრა სალდათებს: თქვენ მოწამე ხართ იმისი, რაც მოხდა. ეხლა თქვენი სიცოცხლე და საკუთრება თქვენის გუშინდელის მტრის ხელშია. მადლობელი ვარ, რომ თქვენ ულაპარაკოდ მომეცით კაპიტულიაციის (დამორჩილების) ნიშა. იაპონელები სწორედ აასრულებენ დამორჩილების პირობებს. თქვენ მეომრის მოვალეობა პირ-ნათლად შეასრულეთ და იაპონელებმაც კარგად დააფასეს თქვენი გმირული წინააღმდეგობა. თუ რუსეთში თქვენი ქცევა არ მოეწონებათ, იცოდეთ, დამორჩილების გამო პასუხის გებას მარტო ჩემ თავზე ვკისრულობ. გახსოვდეთ, სალდათი ყოველთვის პატიოსან გზას უნდა ადგესო. („ნ. დ.“).

ახალი ამბავი

✦ **შემდეგ საყურადღებო ამბავს გადმოგვცემს „რუს. ვედ.“**: „განზრახულია გაამარტივონ კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მართვა-გამგეობა. ზოგიერთ გუბერნიაში გაუქმებულ იქნება გაძლიერებული დაცვა, რომელიც რამდენიმე ათი წელიწადი მოქმედებს“.

✦ **იგივე გაზეთი სწერს**: „სომეხთა საეკლესიო სამზრუნველოებს ნება მიეცათ დამოუკიდებლად მოიხმარონ ის ფული, რომელიც სხვა-და-სხვა შემომწირველთაგან შევა სომეხთა საჭიროებათათვის“.

✦ „ნ. ობ.“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ 9 იანვარს: **„მუშების გაფიცვა** მეტად გაძლიერდა და გადიდდა. გაზეთები ეს მეორე დღეა აღარ გამოდიან“.

✦ 9 იანვარს, თავ. ვ. ს. მიქელაძის თავმჯდომარეობით, მოხდა პირველი კრება ახლად დაარსებულ **ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა.** წესდებით, როგორც უკვე ვწერდით, საზოგადოებამ უნდა შეჰკრიბოს სახალხო სიმღერები, გადაიღოს ნოტებზე, შეიმუშაოს ეს სიმღერები და სხვა; ერთის სიტყვით, ხელი უნდა შეუწყოს ქართულ მუსიკის გაძლიერებას და განვითარებას. წესდების გაცნობის შემდეგ კრებამ ხმის უმეტესობით საწევრო გადასახადად 3 მან. დააწესა. კრებაზე საზოგადოების წევრად ჩაეწერა 75 კაცი და ყველამ იქვე წარადგინა საწევრო ფული, სულ 225 მან. დაუსრულებელი კამათი გამოიწვია ზოგიერთ წევრების სურვილმა, რომ გამგეობის წევრთა არჩევნები ორის კვირით გადადებულიყო, რადგან თანხმობა არ იყო ორის კაცისაგან, რომელთა არჩევასაც გამგეობაში სასურველად სცნობდნენ. ამაზე ლაპარაკმა რამდენსამე საათს გასტანა, ბოლოს, როგორც იქნა, კრებამ დაადგინა, არჩევნები ამ დღესვე მომხდარიყო. ბარათებით დაასახელეს კანდიდა-

ტები. ვიდრე ამას დაამთავრებდნენ, 80 კაციდან ბევრნი წასულიყვნენ (4 საათი 20 წ. შეიქნა) და დარჩენილიყო მხოლოდ 35 კაცი. თავმჯდომარემ კრება დანიშნა 16 იანვარს დილის 10 საათისათვის.

◆ **მოსკოვიდან გვწერენ:** ამას წინად მოსკოვის საიმპერატორო საარქეოლოგო საზოგადოებამ განიხილა თავმჯდომარის გრაფინია უვაროვის მოხსენება ქართლ-კახეთის სამღვდელოების ტფილისის სიონის ტაძართან არსებულ სიძველეთ-საცავის ტფილისის სემინარიის ახალ-შენობაში მოთავსების შესახებ. საქმე ის არის, რომ განზრახული იყო ყველა ის ძველი ხელნაწერები და ძვირფასი შესამოსელ-ჭურჭელი, რომელიც ეკუთვნის საქართველოს ეკკლესიებს და მონასტრებს და ან შემოწირულია კერძო პირთაგან, სასულიერო სემინარიის გამგეობისათვის გადაეცათ. მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოებამ არ მოიწონა ეს აზრი და დაადგინა: სიონის სიძველეთ-საცავი არ შეიძლება გადატანილ იქმნას სასულიერო სემინარიის ახალს შენობაში, რომელიც ტფილისის გარეშეა. სიძველეთ-საცავი, როგორც ყოველივე მუზეუმი, უნდა არსებობდეს ქალაქის შუაგულს, რომ საზოგადოებას შეეძლოს მისი ადვილად ნახვა. საზოგადოებამ იცის, რომ სიონის ტაძარი და თვით სიძველეთ-საცავის შენობა შევიწროებულია სახაზინო უშნო შენობებით. ამის გამო საზოგადოებამ უკვე სთხოვა ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეს, რათა ეს შენობანი დანგრეულ იქმნას. მაშინ ადგილობრივი სასულიერო მთავრობა გააფართოვებს სიძველეთ-საცავს იმ ადგილსვე, სადაც არსებობს დღეს. მოსკოვის საიმპერატორო საარქეოლოგიო საზოგადოებამ თვისი დადგენილება უთუოდ აცნობა საქართველოს ექსარხოსს.

◆ როგორც „მშაკი“ გადმოგვცემს, პეტერბურგს მიდის სრულიად **სომეხთა კათალიკოსის დეპუტაცია**, რომელიც იქ შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგება. დეპუტაცია შესდგება მთავარ-ეპისკოპოსის ნერსეს ხუდავერდიანცისა და არხიმანდრიტის მესროფ ტერ-მოსესიანცისაგან.

◆ **სადგურ ევლახიდან გვატყობინებენ.** 4 იანვარს ევლახიდან შუშაში მიმავალ ფოსტას გზაზე თავს დაეცა 15 კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული ბრბო. მოჰკლეს ორი საერობო დარაჯი, რომელნიც ფოსტას თან მისდევდნენ, სასიკვდილოდ დასჭრეს ფოსტალიონი და გაიტაცეს რაც ფასიანი და ფულიანი პაკეტები იყო. ჯერ გამორკვეული არ არის რაოდენობა წაღებულისა.

◆ 9 იანვარს აკურთხეს ტფილისში **ქალთა მესამე გიმნაზიის ახალი შენობა**, აგებული ბებუთოვის ქუჩაზე. კურთხევას დაესწრნენ სამოსწავლო უწყების მოხელენი.

◆ გზათა მინისტრის განკარგულებით, **იმიერ ბაიკალის გზაზე** კიდევ მოითხოვეს ამიერ კავკასიის რკინის გზიდან ექვსი მემანქანე და სამი თანაშემწე.

◆ 9 იანვარს, საღამოს 10 საათზე, **ცეცხლი გაჩნდა** ამიერ კავკასიის რკინის გზის სახელოსნოების მოდელების განყოფილებაში. ცეცხლი ისე გაძლიერდა, რომ მქრობელი რაზმი თითქმის გათენებამდე მოუნდა. მოდელების განყოფილება ცეცხლმა სრულებით გაანადგურა. ზარალი 50 ათას მანეთამდეა.

◆ 9 იანვარს მოხდა წლიური კრება ტფილისელ ვექილების **კონსულტაციის წევრთა**. კრებამ პირველად განიხილა წლიური ანგარიში და დაამტკიცა. შემდეგ კრებამ ამოარჩია გამგე კომიტეტის წევრებად: ი. მ. დოლუხანოვი, ზ. როხლინი, იუზბაშევი, ანტუშევიჩი და ტერ-მინასოვი.

◆ როგორც გვატყობინებენ, ამ დღეებში სოხუმის ოლქის ეპარქიაში ქალაქ ანაპაში **გაუქურდავთ ტაძარი** და წაუღიათ ძვირფასი ნივთები და ფული.

◆ სადგურ აჯიქაბულიდან გვატყობინებენ, რომ 8 იანვარს სადგურ საგირიდან სანიტარულ ვაგონით გამოგზავნეს მგზავრი მიხეილ ალდასენორი, რომელიც ხოლერიანი აღმოჩნდა. ავადმყოფი ხოლერიანთა ბარაკში დააწვინეს.

◆ 13 იანვარს, საღამოთი, ტფილისის ქალაქის გამგეობისა და ხმოსანთა ტეხნიკოსთა შეერთებული კრება განიხილავს ბელგიის უსახელო საზოგადოების მიერ წარდგენილ პროექტს ელექტრონის ტრამვაის დიდუბის ლიანდაგისას.

◆ პოლიციის მე-8 ნაწილში, დესიმონოვის მოედანზე, 9 იანვარს, საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზე ცხენის რკინის გზის ვაგონიდან უეცრად გავარდა ორ ლულიანი თოფი და დაიჭრნენ იქვე მდგომი პოლიციელი გამბუშინსკი და მეეზოვე სარქის ყარიბოვი. პოლიციელი დაჭრილია ბეჭში, ხოლო მეეზოვე—ხელსა და მუცელში. როგორც გამოირკვა, ვაგონში მეეზოვეს ყარიბოვს შეუნიშნავს ერთი უცნობი კაცი, რომელსაც ხელში სჭერებია ორ ლულიანი თოფი, მისულა და იქვე პოლიციელისათვის ეს ამბავი შეუტყობინებია. ამ დროს უეცრად თოფი გავარდნილა და ორივენი კი დაჭრილან. იქვე შეიპყრეს თოფით ხელში ტფილისის მოქალაქე დიდუბეში მცხოვრები ალექსანდრე რევინი, რომელსაც ამ შემთხვევის გამო განუცხადებია: ნადირობიდან დავბრუნდი და დესიმონოვის მოედანზე რომ მოველი, ერთს უცნობს გადავეცი თოფი, მას ვაგონიდან ხელიდან გაუვარდა დაეცა და ამნაირად გავარდნილ თოფიდან, ორივენი დაიჭრნენო.

◆ კავკასიის წყლების ინსპექტორმა აცნობა გუბერნატორს, რომ იგი უკვე შეუდგა იმ პროექტის შედგენას, რომელიც საჭიროა ტფ. მაზრის სოფ. საგარეჯოში ხევის გასამაგრებლად. ინსპექტორი სწერს, რომ ამ შემთხვევაში ვსარგებლობ იმ გამოკვლევებით, რომელიც ინჟენერ ქურდიანმა მოახდინაო. ქურდიანის გამოანგარიშებით კი საჭიროა 1000 ან 1,500 ოთხ-კუთხი საჟენი ფიჩხი (სიგრძით 1 საჟ. და სისქით 1 ვერშოკიანი), 120 მუხის კუნძი (9 არშინი სიგძე და 5 ვერშოკი სისქე), 600 კუბიკური საჟენი მსხვილი რიყის ქვა: 18 ფუთი ტელეგრაფის მავთული, $2^{1}/_{2}$ ფუთი 4 ვერშოკიანი ლურსმანი და თოკი 3 ფუთი. ამ სოფლის გარდა გასამაგრებლად საჭიროა კიდევ ორი სოფელიო, სწერს ინსპექტორი, ერთი ახმეტა, თიანეთის მაზრისა და მეორე—სოფ. კონდოლი, თელავის მაზრისაო.

◆ გვთხოვენ ქველმოქმედთა ყურადღება მივაქციოთ ერთ ღარიბ ოჯახის გაჭირვებულ მდგომარეობას. უფროსი ამ ოჯახისა 66 წლის დედაკაცია ან. მილოდანოვიჩი, ავადმყოფი, ლოგინად ჩავარდნილი, რომელსაც ჰყავს ავადმყოფი, თითქმის დასახიჩრებული ბავშვი, შვილიშვილი. მილოდანოვიჩი სცხოვრობს კრასნოგორსკის ქუჩაზე, ს. № 23.

◆ ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას გაუგზავნა 150 უფასო ბილეთი და სთხოვა სია იმ მოხელეებისა, რომელთაც მუქთა ბილეთები დაურიგდებათ.

◆ სად. სანდარი. 9 იანვარს, ღამე, მე-33 ვერსზე, ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა მოჰკლეს სადარაჯოში რკინის გზის ლიანდაგის დარაჯი ამირ-მამედ-ოღლი.

◆ სად. ბალაჯარი. 8 იანვარს, საღამოს 8 საათსა და 50 წუთზედ, ტორმოზის კონდუქტორი გიორგი ავანჩენკო მიმავალ მატარებელზე (№ 400) უნდა შემხტარიყო, ფეხი აუცდა, ვაგონებს ქვეშ ჩავარდა და თავი და მხრები ძლიერ დაუშავდა. დაშავებული ბაქოს-რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ თელავის მაზრაში შემდეგი ამბავი მომხდარა ათ იანვრამდის: 1. სოფ. კალაურში მცხოვრებ ივანე დიმიტრაშვილს თავს დაეცა იმავე სოფლის მცხოვრები ივანე ასტალაშვილი და სასიკვდილოდ დასჭრა რევოლვერით; 2. სოფ. წინანდალის გლეხს აბრამ მსუქნიშვილს ვიღაცეებმა ცეცხლი წაუკიდეს და მთელი ზამთრის პირნახული გადაუბუგეს; 3. სოფ. კალაურში ამავე სოფლის მცხოვრებმა საბა პაპოშვილმა სასიკვდილოდ დასჭრა ნიკოლოზ პაპოშვილი; 4. სოფ. ძველ გავაზში მოუკლავთ ცოლ-ქმარი არსენ და სოფიო გამკარაშვილები და გაუტაციათ მათი ქონება. მკვლელი შეიპყრეს, იგი აღმოჩნდა ვანო გაიხარაშვილი; 5. სადგურ თეთრ-წყალზე ადგილობრივ მემამულე სპირიდონ ახპატელოვის ქონებას დიდი ცეცხლი წაუკიდეს; 6 სოფ. ურიათუბანში სანდრო და ნიკოლოზ პაიჭაძეებმა სასიკვდილოდ დასჭრეს კეტებით თავისივე ერთ სოფლელი გიო რევაზიშვილი.

◆ სიღნაღის ციხეში 5 იანვარს დილის 12 საათზე ტუსაღს სტეფან განჯილოვს სასიკვდილოდ დაუჭრია მეორე ტუსაღი ლევან ტომაზგელაშვილი.

◆ სოფ. ჩაილურში (სიღნაღის მაზრა) საქონლის ჭირი მოსპობილა.

რუსეთის ქრონიკა

◆ დღემდე პერიოდიულ გამოცემის სრული აკრძალვა შეადგენდა სამის მინისტრის (შინაგან საქმეთა, სახალხო განათლების და იუსტიციისა) და უწმინდეს სინოდის ობერ-პროკურორის საერთო კომპეტენციას (148 მუხლი ცენზურის წესდებისა). მინისტრთა კომიტეტს უკანასკნელ თავის სხდომაზე 31 დეკემბერს ის აზრი გამოუთქვამს, რომ ეს წესი უნდა შეიცვალოსო.

◆ სრული გადასინჯვა ბეჭდვითი სიტყვის კანონებისა მიანდეს საგანგებო კომისიას. საფუძველი ამ კომისიის მუშაობისა იქნება პრინციპი წინასწარ ცენზურის მოსპობისა პერიოდიულ პრესისათვის. კომისიაში წევრებად არიან სახელმწიფო საბჭოს წევრები და სენატორები, რომელნიც ახლო იცნობენ თანამედროვე მწერლობის მდგომარეობას; აქვე იქნებიან ბეჭდვით საქმის მთავარ-სამმართველოს ყოფილი უფროსები.

◆ საქალაქო და საერობო თვითმმართველობის შესახებ კომიტეტის ზოგმა წევრმა გამოსთქვა სურვილი, რომ შემცირებულ იქნას გრადონაჩალნიკებისა და გუბერნატორების უფლება საქალაქო და საერობო თვითმართველობათა დადგენილების არ დამტკიცებისა და შეჩერებისა.

◆ საგლეხო საკითხისათვის ცალკე კომისია არ იქნება, რადგან, კომიტეტის უმრავლესობის აზრით, ეს საქმე გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა საგანგებო საბჭოს. როგორც გამოირკვა, წევრების უმრავლესობა იმ შეხედულობისაა, რომ სახელმწიფოს სასიკეთო განვითარებისათვის აუცილებელია გათანასწორება გლეხებისა სხვა წოდების წარმომადგენლებთან; ასეთი ცვლილება საჭიროა აგრეთვე იმისთვის, რომ ხალხს პატივისცემა ჰქონდეს კანონისა. საბოლოოდ გაიმარჯვა იმ აზრმა, რომ საზოგადო კანონების სრული განხორციელება შეუძლებელია და ამიტომ საგლეხო ყოფა-ცხოვრების საგანგებო თვისებანი (როგორც, მაგალითად, ქონებრივი მდგომარეობა, ზოგი მხარე გლეხის ოჯახურ ცხოვრებისა) მოითხოვენ დამატებით კანონებს. რაც შეეხება პირად უფლებასა და სამართალს, ამ მხრივ გლეხის გათანასწორება სხვებთან აუცილებელ საჭიროებად იცნეს.

◆ როგორც ისმის, სენატორი. ა. თ. კონი მიიღებს უმაღლეს დანიშნულებას იუსტიციის სამინისტროში. ასახელებენ სხვა კანდიდატებსაც, როგორც, მაგალითად, იუსტიციის მინისტრის ამხანაგს მანუხინს.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტანილია პროექტი სოფლის „დარაჯების“ (სტრაჟნიკი) ინსტიტუტის მოსპობისა; ეს ინსტიტუტი პლევეს შემოღებულია ზოგ გუბერნიაში, სადაც გაძლიერებულ დაცვის წესებია. ეს წინადადება იმით არის დასაბუთებული, რომ „დარაჯების“ მოსპობა ხარჯს შეამცირებს და, გარდა ამისა, განზრახულია, გაძლიერებულ დაცვის წესების მოსპობა.

◆ საშუალო სკოლის სარეფორმო პროექტი, რომელიც ამ მოკლე ხანში სახელმწიფო საბჭოს უნდა განეხილა, ისევ განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტს დაუბრუნეს ხელ-ახლა შესამუშავებლად, რადგან ოლქის მზრუნველებისაგან ბევრი ახალი შენიშვნები მოვიდა.

◆ პუტილოვის ქარხნის (პეტერბურგში) მუშათა გაფიცვაზე შემდეგ ცნობებს იტყობინებიან გაზეთები: ჯერ კიდევ დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში მისულა პეტერბურგის გრადონაჩალნიკთან მუშების დეპუტაცია და უთხოვნია, ყურადღება მიექციათ ზოგ ქარხანასა და ფაბრიკაში გამეფებულ წესებისათვის, რომელნიც მუშების ინტერესების წინააღმდეგი არისო; ზოგ ქარხნის ადმინისტრაცია ენერგიულ ღონისძიებას ხმარობს იმ მუშების წინააღმდეგ, რომელნიც ქ. პეტერბურგის მუშათა ორგანიზაციას ეკუთვნიანო. ამ მხრივ სხვაზე უფრო თავი ისახელა პუტილოვის ქარხნის უფროსმა ოსტატმა დესიატკინმა, რომელიც შეუბრალებლად დევნიდა ორგანიზაციის წევრ მუშებს. მუშები ამბობდნენ, რომ თუ ასე გაგრძელდა, წესიერების დაცვის პასუხის გებას ვერ ვიკისრებთ და გთხოვთ თქვენის მხრივ რაიმე ღონისძიება მიიღოთო. 29 დეკემბერს მუშების წარმომადგენლებმა მოსთხოვეს პუტილოვის ქარხნის ადმინისტრაციას დესიატკინის დათხოვა და მის მიერ დათხოვნილ მუშების მიღება. მუშების ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილეს და 3 იანვარს ქარხნის დირექტორთან (ქარხანაში 12 ათასამდეა მუშა) დეპუტაცია მივიდა. გარდა წინად წამოყენებულ მოთხოვნათა დეპუტაციას მოუთხოვია, რომ დირექტორს თავი დაენებებია თავის ადგილისათვის და ახალი დირექტორი დანიშნულიყო. სხვა მოთხოვნებაც ყოფილა. როგორც დეპუტაცია, ისე სხვა მუშებიც წესიერად იქცეოდნენ. ადმინისტრაციამ ჯერ უარი განაცხადა მოლაპარაკებაზე, მაგრამ დეპუტაციის თხოვნით თათბირი მაინც შესდგა. თათბირში მონაწილეობა მიიღეს—დირექტორმა, ორმა თანაშემწემ და საფაბრიკო ინსპექტორმა. თათბირი დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივიდა. (რ. ვ.).

პატარა ფელეტონი

ამდროული

— რომ მილოცავ, რას მილოცავ!

— ახალ-წელს!

— ოჰ, ახალი წელი თუ არა, შარშან-კი არ მომილოცე და რა მოგვეცა?

— ჩამოვთვალოთ?

— ვნახოთ, ხანუგეშოს რას იტყვი?

— დაიწყო ომი: სახელიც არ გამეგონა ისეთმა ხალხმა თვალ-უწვდენელ რუსეთს ომი გამოუცხადა, ეომა, ეომება, იომებს!

ფელეტონი

სიტყვა კაზმული მწერლობა 1904 წ.

გასულის წლის მხატვრული მწერლობა დიდად დამაღონებელს და სამწუხარო სურათს წარმოადგენს. ჩვენი ნაღვლიანი მოლოდინი, რომ იქნება ახალმა მწერლებმა თავის უფროსს ამხანაგებს წაჰბაძონ და უდროოდ დაჭკნობ ნიჭი გულცივობით და ცხოვრების ვითარებაში ღრმად ჩაუხედაობით, ეს მოლოდინი ჯერ-ჯერობით, ჩვენდა სავალალოდ, მართლდება. მთელის წლის განმავლობაში ბ-ნ მაქსიმიძის ნაწერი არსად რა შეგვხვედრია; ალბად, იმან ქართველ ინტელიგენტის ჩვეულებისამებრ უსიტყვოდ და მუდროებით ყოფნა არჩია მწერლის როლს, რომელიც მოძრაობასა და მუშაობას ითხოვს. ბ-ნ მაქსიმიძის სრული გაჩუმება მით გვისერავს გულს, რომ იმისი „სურათები“ ჩვენებურ ინტელიგენტების ცხოვრების სასტიკ კრიტიკას წარმოადგენდა და ამ გვარი კრიტიკა-კი აუცილებლად იქონიებდა რამდენადმე გამომაფხიზლებელ გავლენას. ჩვენის მწერლობის უპირველეს საქმედ დღევანდელს პირობებში უნდა გახდეს ბრძოლა გულცივობასა და გულგრილობასთან, რომელმაც ისე შეჰბოჭა, ისე დაიმონავა განათლებული ქართველი ადამიანი, რომ პირ-და-პირ უსიტყვოდ გადააქცია იგი. იმედი, ცბიერი და მაცდური იმედი, რომ ბ-ნ მაქსიმიძის „სურათებით“ ჩვენს სიტყვა-კაზმულს მწერლობას ისეთი სიუჟეტი ემატება, რომელიც მწერლობას გაამდიდრებს და თვით ქართველ ინტელიგენციის სულიერს ვითარებაზედაც მოახდენს საგულისხმო გავლენას, ეს იმედი ყალბი გამოდგა. ქ-ნ ნ. ნაკაშიძემ გასულ წელს რამდენიმე მოკლე ამბავი დასწერა, მაგრამ ამ ნაწერებში არც არაფერი ახალი მოიპოვება და არც იმდენი ძლიერება და ცხოვრების დაკვირვება სჩანს, რამდენიც ამ ავტორის წინანდელს ნაწერებში, განსაკუთრებით 1903 წელს დაწერილს მოთხრობაში „ძიძა“. ბ-მა სვ. ყიფიანმა თავისი ნიჭი მთლად პორტრეტების აღწერაზე დაახურდავა; ამ მწერალს თითქოს ემინიან ფანტაზიის მოძრაობისა, ისე გაურბის თავის კალმის ასპარეზის გაფართოებას. მარტო ოდენ ხასიათის, რომელიმე ტიპის ნიშნობლივ თვისებების აღწერა-კი ვერაფერი განძია სიტყვა-კაზმულ მწერლობისთვის; ბელლეტრისტმა ადამიანის ცხოვრება უნდა დაგვანახვოს და არა მხოლოდ ხასიათი. ბ-ნ ყიფიანის პორტრეტები ამასთანავე სრულს სურათს ვერ გვიყენებენ თვალწინ, მომეტებულ ნაწილად ისინი ერთს რომელსამე თვისებას აგვიწერენ და არა მთელს ადამიანს. საგულისხმოდ მიგვაჩნია აგრეთვე, რომ ამ ავტორის 1903 წლის ნაწერებში უფრო საყურადღებო და საინტერესო პორტრეტები იყო, ვიდრე გასულის წლის ნაწერებში.

ერთად ერთი ბელლეტრისტი, რომელზედაც ღირს მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ, ბ-ნი ადამაშვილია. ამ მწერალმა თავის კალმის პირველისავე ცდით დაგვიმტკიცა, რომ საკმაოდ ძლიერი ფანტაზიაა და ნიჭი აქვს, და იმისი ორი ახალი ეტიუდი, „უპატრონო“ და „მეჩქმე გაბო“-ც ამასვე ჰმოწმობს. ადამაშვილი ჯერ ახალგაზრდა მწერალია, იმისი კალამი იმდენს ძლიერებას იჩენს, რომ ჩვეულებრივ ამ ავტორის ნაწერები თავიდანვე იპყრობენ მკითხველის გულის ყურს და თან და თან უფრო ძლიერებენ შთაბეჭდილებას. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ბ-ნი ადამაშვილი ფოტოგრაფიულად სიტყვების საშუალებით ქაღალდზე სინამდვილის გადმოღებას არა სცდილობს. იმისი მისწრაფება უფრო შორს მიდის და უბრალო წამბაძველობითა და აღწერილობით არა კმაყოფილდება. „უპატრონო“ და „მეჩქმე გაბო“ ისევე, როგორც „ჩანჩურა“, იმ აზრზეა აშენებული, რომ, მიუხედავად მრავალ დამჩრდილავ გარემოებისა, ადამიანის პიროვნება და ღირსება ყველგან და ყოველთვის ადამიანურს პატივისცემას, თანაგრძნობას და სიყვარულს უნდა გვიღვიძებდნენ გულში. ბ-ნის ადამაშვილის გმირები დაბეჩავებული, უბედური, უნიჭო, თითქმის უგონო და ზნეობით დავარდნილი ადამიანები არიან. პირველის შეხედვით, კაცს ეგონება არავითარი თანაგრძნობა და სიყვარული ამ ნაძირალა ადამიანებისადმი საფიქრებელი არ არისო, და ან გულგრილად ეცილება მათ, ან პირდაპირ ზიზღით უცქერის; მაგრამ, ბელეტრისტის კალამი სწორედ აქ იჩენს თავის ძალას, სწორედ აქ იწყებს ზნეობის ქადაგებას, თანდათან არღვევს ყალბს წარმოდგენებს და დასასრულ მკითხველი თვალ-ნათლად ჰხედავს თავის შეცდომას, თავის გრძნობის უკუღმართობას და უსამართლობას.

ბ-ნის ადამაშვილის ნაწერების სანიმუშოდ მაშინ დაახლოვებით გავარჩიეთ „ჩანჩურა“, ეხლა ამავე აზრით გავარჩიოთ „მეჩქმე გაბო“.

მეჩქმე გაბოს პირველად გარყვნილების სახლის კიბეზე ვხედავთ; იმისი გარეგანი ულაზათობა და უსუფთაობა არა სასიამოვნო შთაბეჭდილებას იძლევიან. გარყვნილების სახლში გაბო ისე იქცევა, როგორც კარგი შინაური და დიდი მახლობელი სტუმრების მოლოდინში მოცეკვავე ქალებისა. აქ იმას ყველა „პაპაშას“ ეძახის. ავტორი გვაცნობებს გაბოს წარსულს, რომელიც ამ გმირის დამამცირებელ ატესტაციის მეტს არაფერს წარმოადგენს. თორმეტის წლის წინად გაბოს საზოგადო სახლში ერთი ქალი შეუყვარდა, გამოიყვანა ამ სახლიდან და თავის ოჯახში მოათავსა, იმის მიუხედავად, რომ გაბო უკვე ცოლშვილიანი იყო. რამდენიმე თვის შემდეგ გაბომ ფული ივალა, თავის საყვარელს ხუთიოდე ქალი უშოვა, თითონ ქვემო სართულში გადასახლდა და ამგვარად თავისი საყვარელი გაბომ გარყვნილების სახლის პატრონად გახადა. ამის შემდეგ გაბო ყოველ ღამე დაბლა სართულიდან მაღლა ადიოდა და იქ ატარებდა დროს. თორმეტის წლის განმავლობაში გაბო ისე შეეჩვია ამ საზოგადო სახლს და იქ მცხოვრებ ქალებს, რომ ეხლა უიმათოდ სიცოცხლე არც კი შეუძლიან. გაბოს თითქოს გულ-წრფელის სიყვარულით შეუყვარდა საზოგადო სახლი და არაფერს არა ჰზოგავდა, ოღონდ-კი ესიამოვნებინა იქ მყოფ ქალებისათვის: ყოველ-დღე ტკბილეულობა მოჰქონდა, ფულებს ურიგებდა, ვახშმით უმასპინძლდებოდა და სხვა.

მეტი ზნეობითი გახრწნილება და ზნეობითი გადაგვარება ძნელი წარმოსადგენია. ოჯახის, ცოლისა და შვილების პატრონს სრულიად დავიწყებული აქვს თავისი საკუთარი კერა, არაფერს არა ჰზრუნავს არც ცოლისა და არც შვილებისათვის, არაფერს ადამიანურს არა ჰგრძნობს თავისიანებისადმი, და იმავე დროს ბედნიერად სთვლის თავის თავს, რადგან გარყვნილების სახლში შინაურულად ექცევიან და იქ ზნე-წამხდარი ქალები „პაპაშა“-ს ეძახიან. ეს სასტიკი და მკაცრი სურათი სწორედ იმავე ხასიათისაა, რომელიც „ჩანჩურას“ ნიშნობლივს თვისებას შეადგენს. ჩანჩურა იმდენად უგონო, უნიჭო და შეუსმენელი არსებაა, რომ ადამიანობა არც კი ეტყობა. გაბო იმდენად უზნეო, გარყვნილი და დაცემული პიროვნებაა, რომ არ შეიძლება არ შეგძაგდეთ, არ შეგეზიზღოთ. ამისდა მიუხედავად ბ-ნი ადამაშვილი ორივეს, ჩანჩურასაცა და გაბოსაც, მაინც ადამიანებად, თანაგრძნობის ღირს ადამიანებად სთვლის და სასტიკად თხოულობს მკითხველისაგან, რომ ამ დაცემულს ხალხს ზურგი არ შევუქციოთ და სიყვარულით მოვეკიდოთ.

ძნელი მოსათხრობია და ძნელი გადმოსაცემი ის მდგომარეობა, რომელიც გაბოს მკითხველის თვალში თანასაგრძნობ ადამიანად ჰქმნის და ამ გაფუჭებულ კაცისადმი სიბრალულის გრძნობას აღვიძებს. ბ-ნის ადამაშვილის თავისებურობა სწორედ იმით გამოიხატება, რომ თავის მკითხველს გულში ამ გარყვნილის და საზიზღარ ადამიანისადმი თანაგრძნობას უღვიძებს, იმის სულის კვეთებას, იმის მწუხარებას გასაგებად და შესასმენელად ჰხდის. გაბოს ძველი საყვარელი, გარყვნილების სახლის პატრონი, ხანუმა, როგორც გაბო ეძახდა, თორმეტის წლის განმავლობაში თითქოს მადლიერი იყო გაბოსი, რადგან მხოლოდ გაბოს მოწყალებით შეიქმნა ის გარყვნილების სახლის პატრონად. მაგრამ ხანუმამ ბოლომდე ვერ დაიჭირა თავი და თანდათან გაბოსადმი უმადურობა გამოიჩინა. ყოველ თვის ბოლოს ხანუმა თავის მუდმივს სტუმარს, გაბოს, თამასუქებზე აწერინებდა ხელს იმ ვალში, რომელიც გაბოს ამ სახლში დანახარჯისა ედებოდა. პირველ ხანებში ხანუმა გაბოს არ აწუხებდ თამასუქებით, რომლებზედაც გაბო გულუბრყვილოდ უწერდა ხელს თითქოს მხოლოდ თამაშობისა და ხუმრობისთვის, მაგრამ თანდათა ხანუმას უმადურობამ მეტი სითამამე გამოიჩინ და ერთს საღამოს გაბომ საზოგადო სახლში თავისი თავი ისეთსავე სტუმრად იგრძნო, როგორც სრულიად უცხო და გარეშე ადამიანმა. გაბომ იგრძნო, რომ დაეკარგა, წაერთვა ი ქალი, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა, ას ძლიერ შეეჩვია, და ცრემლები მოერია. „უსინდისო ხარ, უსინდისო!“—მიაძახა გაბო თავის ხანუმას და ამ სიტყვით უნდოდა გამოხატა ხანუმას უსამართლობა, მაგრამ ორ მოსამსახურის მძლავრმა ხელებმა გააკავეს ჩვენი გმი რი და კარში გამოაბრძანეს. ამის შემდეგ, საღამოობით გაბო საზოგადო სახლში შესვლ ვეღარ ჰბედავდა, მხოლოდ კიბეზედ-ღა ავიდ და ხოლმე და იქიდან იცქირებოდა ზალაშ იგონებდა თავის წარსულს ბედნიერებას ცრემლი სდიოდა. დავბერდი, აღარ ვარგივ და სახლიდან გამაგდესო, ჰფიქრობდა გაბო.

ბ-ნს ადამაშვილს გაბოს გრძნობა დაკარგულ ბედნიერებისა ისე ძლიერად აქვს დახატულ რომ მკითხველს სიბრალული ებადება გაბოსად მი და თითქოს სრულიად ავიწყდება ის გარ ყვნილების მორევი, რომელსაც გაბო თავის ბედნიერებად სთვლიდა. ბედნიერება ცვალებად და ყველას ერთნაირად არ ესმის, ბედნიერებ შინაარსი მკვიდრს არაფერს არ წარმოადგენ ის დამყარებულია გრძნობაზე და ხშირად ბედ ნიერებად იმასა სთვლის ადამიანი, რაც დი

უვითელ-პირა, მაიმუნის მგზავსი იაპონელი ზღვაში თურმე თევზსავით სცურავს, მთა-მინდვრებზე კურდღელსავით დახტის, ქალაქიდამ ქალაქამდე უკან მოგვზდევს, ჭაერში ბუშტებზე დაფრინავს, კლდეზე კატასავით მიფოფხავს!

— მოდი და უყურე!

— კი უყურე თუ „ნოგიმ“ ფეხები უუმბარით არ წაგაგლიჯა!..

— კუროპატკინი პასუხს გასცემს!

— კი, მაგრამ, ოკუ და კუროკი კრიჭაში უდგანან. ეს კუროკი მაინც „ჩახმახი“ კაცი ყოფილა: ექვსჯერ მოკლეს და რვაჯერ გაცოცხლდა!

შვილი გვარიც ჰქონია! ომში რაკი სახელი გაითქვა, ყველა ხალხმა თავისიანად ჩათვლა მოუნდომა:

პოლონელებმა პოლონელიაო და უწოდეს კუროვსკი!

ფრანგებმა კურო.

ინგლისელებმა კურიელი.

ქართველებმა გურიელი.

სომხებმა კირაკოზიანცი.

— იამა?

— მიამა, რომ გამახსენე! ჯარს მიუძღვება და სულ ასე ჰყვირის: ოიჰ ამას! გაი ამას!

ბევრი იომა. მიკადოს იამა!

— შორეულ ამბებს მორჩი, ჩვენი სანუგეშო რა იყო, ისა სთქვი!

— თავადი და აზნაური დეპუტატებად წავიდნენ!

— მერე, რა მინდაო?

— ჩამოიტანენ ერობას, ნაფიც-მსაჯულების სასამართლოს, ბეჭდვითი თავისუფლებას და... და...

— ???

— არ გჯერა და ბრძანდებოდე!

— სხვა?

— ერთს ქართველს ბაქოში ნავთის წყაროები აქამდის შერჩენოდა და ახლა-კი მილიონ ნახევრად გაუყიდნია!

— რატომაო?

— ვერა ხედავთო, ყოველ დღე ცეცხლს გვიჩენენ და „ვიშკებს“ გვიწვავენო... მუშას ვერ ვშოულობთ, მოგებას შუაზე გვიყოფენო და სხვ.-და-სხვ.

— მაშ მსყიდველი წააგებს?

— ნამდვილად გაკოტრდებაო!

— არც მანთაშევი გაიხსენა და არც არამიანცი?

— შენც არ მომიკვდე!

— სანუგეშო რამ მითხარი!

— პეტერბურგში ჩვენი ქართველი სტუდენტები ერთმანეთში არეულან და ომობენ...

— რა ამბავიაო...

— ომიანობააო და თუ სხვებს არ გვაყლეპინებენ, ერთმანერთი მაინც ამოვყლიტოთო!

— ისემც კარგი მოგივიდეს, კარგი ამბავი ეს იყოს! სხვა?

— დაარსდა ფილარმონიული საზოგადოება...

— ეს რაღაა?

— რა და, ქართული ოპერა უნდა დაარსონ, ქართული ორკესტრი, ქართველი მომღერლები უნდა ამღერონ. ბალანჩივაძე-კომპოზიტორს კიდეც დაუწერია ექვსი ოპერა, მაგრამ უფულობის გამო ვერ გამოუცია და საზოგადოება თავის ხარჯით გამოსცემს.

— მერე სადა გვყავან ქართველი მომღერალნი?

— მე რა ვიცი! აპირობენ კია და პირველ ქართულ ოპერას მალე გამართავენ, სახელად ეწოდება „სნეგუროჩკა“ და სულ ქართველი მომღერლები იქნებიან: კურნოსოვა, კრივობოკოვა, ჩერნომორდვინოვა და ბეზუშინსკაია, შტეიგელი, მეიგელი, ფეიგელი და ბეზუხოვი!

— სხვა, სხვა?

— კალისტრატეს ძმამ დიდიმამ-კრინიცკი-დარახველიძე-ჯაფარიძემ...

— რაო?

— კირილე ლორთქიფანიძისაგან ბანკი იხსნეს!

— ამასაც სანუგეშო ამბათ სთვლი?

— რატომ არა, ბანკის საქმე კარგად იციან, ყოველ-დამ კლუბში ვარჯიშობენ და „ბანკის“ საქმე ძალიან იციან!

— ქარაგმით ნუ ლაპარაკობ! პირდაპირ სთქვი, გასაგებლათ!

— ბატონი ხარ! ქართული თეატრის დარბაზი დაიკეტა... წარმოდგენებს სახაზინო თეატრში მართავენ: ხალხი დიდი დადის, ხარჯი ბევრი გადის, არტისტების პირში არაფერი ჩადის?..

— მაშ ცუდათ დაუწყიათ საქმე?

— როგორც ყოველთვის: პირველად „დავა“ რეჟისორობაზე შეიქნა... ეს თეატრის „ახალი მოძღვრება“-აო და სამი რეჟისორი დანიშნეს: არც ერთი იმათგანი „საქმის კაცი“ არ გამოდგა. ერთმა „დალატი“ გამოადიაკვნა, მეორემ „მეუდლენი“ გადაჰკარგა, მესამემ „ხალხის მტერს“ კისერი ვერ მოსტეხა—ასე ამგვარად... ხომ მოგეხსენებათ: „ნათხარზე“ კაცს ყველაფერი თხრად დარჩება!

— ახლა-კი გატყობ, რომ ძველმა წელიწადმა შენც ძალიან აგრია! გარკვევით ილაპარაკე!

— გაზაფხული შუა-ზამთარში!

— რაო?

— მეც გამიკვირდა! ვის გაუგია ზამთარში გაზაფხული გვწვევოდეს... მაგრამ შეიქნა დადგი: გაზაფხული, გაზაფხულიო და უცებ ისეთი ყინვები დადგა, ყველას კრიჭა შეეკრა... თუმცა ახალ-წელიწად დამეს ყვირილი მაინც მოვასწარით!...

— რა გაყვირებდათ?

— მაშ! ძველს, დამყაყებულს, მიხრწნილს, გარყვნილს, სულ-შემხუთავსა ბოროტებითა გაოხრებულით და ახალს, სხივოსანს, იმედოვანს, ჭაბუკს, გასახარელს, დამატკბობელს, დამამშვიდებელს ვეგებებოდით და არ გვევირა?

ვიყვირეთ-კი არა, მეტიც ვქენით... კინაღამ ეს იმას ეცა... ის იმას ეცა...

— რითვინაო?

— ერთნი ამბობდნენ, ახალ წელი ამას და ამას მოგვიტანს და ესეც კარგიაო! რაც ძველმა წელში მოგვხარა—თუ ცოტას გავიმართებით, იმითაც კმაყოფილი ვიყოთო! მეორენი-კი უყვიროდნენ:

— თქვენ სურვილის გამოთქმაც არ გცოდნიათო, თუ ინატრეთ—ინატრეთ, ახალმა ყველაფერი სავსებით მოგვცესო... ცოტათი წელის გამართვა რას მიქვია, ბარემ შამფურსავით გაიმართოთ, ის არ სჯობიაო და... მიაყვირეს და მიაყვირეს!!

— მერე რით გაათავეთ?

— ძველი წავიყვანეთ „უჩასტოკში“ და „პროტოკოლი“ შევუდგინეთ!..

— რაო?

— პრისტავმა „რეზოლიუცია“ დააწერა: „ვინაიდგან, ბნელო, ძველო წელიწადო, აქამდისინ ერთი ნათელი დღე არ გვაჩვენე და სულ ბნელში გყავდით, ამისათვის ჩაგსვამ ბნელში... კარცერში... იყავ იქ, გაქრი იქ, შენი ხსენება აღარ იყოს!“ **კვიმატი**

თეატრი

ქუთაისი. 6 იანვარს, ადგილობრივმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ა. ცაგარლის დრამა „დეკის ქალი გულჯავარ“ და ვ. გუნიას ვოდევილი „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“. პირველმა რადაც უფერულად და უგემურად ჩაიარა, თუმცა ზოგიერთ მოთამაშეს, როგორც, მაგალითად, ქ-ნს მდივანს—გულჯავარს როლში და ბ-ნთ გამყრელიძესა და გვარაძეს—პირველს რევაზისა და მეორეს ირაკლი ბატონიშვილის როლში,—არამც თუ არა უშავდათ, ალაგ-ალაგ კარგებიც იყვნენ. ქ-ნ მდივანის თამაში ტეხნიკის მხრით შვენიერი იყო, მაგრამ ძალა, სიღრმე აკლდა; ასე რომ—მისი თამაში თვალს უფრო იტაცებდა, ვიდრე გულს. ბ-ნმა ბაქრაძემ—რამაზ—კარგად ჩაატარა მხოლოდ ერთი მომენტი, როდესაც ხანჯლით გულს გაიგმირავს და დაეცემა ირაკლი ბატონიშვილის წინაშე. ბ-ნმა თუთბერიძემ—ლევან—რამდენადაც მეორე მოქმედებაში გვაწყინა ძალდატანებულის წუწუნით, იმდენად კარგად შეასრულა მესამე მოქმედება. რამდენადაც დრამა უფერული იყო, იმდენად ფეროვანად ჩაიარა ვოდევილმა. წარმოდგენას საზოგადოება ნაკლებად დაესწრო.

ეს ერთი კვირაა, ქუთაისს ეწვია რუსული დრამატიული დასი, რომელიც მ. ო. კარენინას გამგეობით, „პეტერბურგის ფარსისა და დრამის“ სახელით წარმოდგენებს ჰმართავს. დასი მეტად სუსტია. 7 იანვარს დასმა წარმოადგინა ლ. ნ. ტოლსტოის ცნობილი „ვოსკრესენიე“-დან არბენინის მიერ უგემურად გადმოკეთებული დრამა, უკეთ რომ ვსთქვათ, სცენები „კატიუშა მასლოვა“, რომელმაც მეტად უფერულად ჩაიარა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თითქმის არც ერთმა მსახიობმა როლი ხეირიანად არ იცოდა და სუფლიორს ძალზე აყვირებდნენ. ქუთათური საზოგადოება, მგეხსენებათ, მსახიობთა დასაჯილდოვებლად „ვაშა“, „ბრავო“--სა და ტაშის ცემას მაინც არ იშურებს, „პეტერბურგელი“ ფარსი და დრამა კი ასეთის წყალობითაც არ დააჯილდოვა. უკანასკნელ წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და ეს არც გასაკვირველია: პეტერბურგს ისე დაუშინებია და დაუმონებია ქუთათური საზოგადოება, რომ, იქიდან ჯამბაზებიც რომ ჩამოვიდნენ, ყველანი თავს მოვალედ სთვლიან უსათუოდ დაესწრონ მათს თამაშს, თითქოს ეშინოდეთ, არა კეთილ-საიმედო პირებად არ ჩაგვთვალონო. ქართველ საუკეთესო მსახიობებმა კი საუკეთესო პიესებიც რომ დადგან, საზოგადოება მაინც ნაკლებად ესწრება. „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“.

დონ-ვალიანი.

ინსტრუქცია

ქართულ დრამატიულ საზოგადოების აღმასრულებელ კომისიებისთვის

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ უკანასკნელ კრებაზე დაადგინა, სხვა-და-სხვა ქალაქებში წარმოდგენების საქმის მოსაწყობად დაინიშნოს ამ ქალაქებში აღმასრულებელი კომისიები. ამასთან შეიმუშავა ინსტრუქციაც ამ აღმასრულებელ კომისიათა სახელმძღვანელოდ. დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თხოვნით ვბეჭდავთ აქვე ამ ინსტრუქციას მკითხველთა საყურადღებოდ.

§ 1. აღმასრულებელ კომისიას ირჩევს საზოგადო კრება სამის წლის ვადით საზოგადოების წევრთა შორის.

§ 2. კომისიის წევრთა რიცხვი სამზე ნაკლები და ხუთზე მეტი არ უნდა იყოს.

§ 3. კომისია, საზოგადო კრების მიერ არჩევის შემდეგ, თავის წევრთა შორის ირჩევს: თავმჯდომარეს, მის ამხანაგს, მდივანს და ხაზინადარს.

§ 4. აღმასრულებელ კომისიების მოვალეობას შეადგენს: ა) მოპოვება საშუალებისა ქართულ წარმოდგენების გამართვისთვის იმ ქალაქებსა ან დაბაში, სადაც იგი მოქმედობს; ამისათვის: აგროვებს საწევრო ფულს და კერძო შემოწირულებას და მართავს საქველ-მოქმედო წარმოდგენებს; ბ) ყოველ წელიწადს ურდგენს საზოგადოების გამგეობას შემოსავალ-გასავლის ანგარიშს არა უგვიანეს 1 აპრილისა; გ) ყოველ შემოდგომაზე სეზონის დაწყებამდე ურდგენს გამგეობას თავის მოსაზრებას ქართულ წარმოდგენების მართვის შესახებ, ხარჯთ-აღრიცხვას და განზრახულ რეპერტუარს. დ) აწარმოებს შემოსავალ-გასავლის წიგნს; ე) ურდგენს გამგეობის რწმუნებულს პირველ მოთხოვნილებისათანავე შემოსავალ-გასავლის წიგნს შესამოწმებლად და ვ) წარმოდგენების მართვა-გამგეობა.

§ 5. კომისიის მიერ შეკრებილი ფული და წარმოდგენების მოგება ხმარდება ადგილობრივ სათეატრო საჭიროებას, ხოლო ზარალს თვით კომისია ჰფარავს კომისიის წევრთა პასუხისმგებლობით.

§ 6. დრამატიულ საზოგადოების გამგეობა თვალყურს ადევნებს კომისიების მოქმედებას, ამოწმებს შემოსავალ-გასავლის წიგნებს, ამტკიცებს რეპერტუარს, ურდგენს საზოგადო კრებას თავის შენიშვნებით კომისიის მიერ წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვას, წლიურ ანგარიშს და სხვა მოსაზრებათ დასამტკიცებლად.

§ 7. წარმოდგენებს კომისიები აწარმოებენ დამოუკიდებლად და თანხმად საზოგადო კრების მიერ დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვისა.

§ 8. იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე კომისია მოსპობს თავის მოქმედებას, ყოველი მისგან შეძენილი ქონება და ფული დრამატიულ საზოგადოების საკუთრებად ხდება.

საზღვარ-გარედ

ლუიზა მიშელი.

ამას წინათ მარსელში გარდაიცვალა ანარქისტი ქალი ლუიზა მიშელი. განსვენებული ერთი მემამულის და იმისი მოსამსახურე ქალის-შვილი იყო. დაიბადა შამპანში 1835 წელს. მშობლებმა კარგი განათლება მისცეს ლუიზას. მეორე იმპერიის დასასრულის დროს ლუიზა პარიზში გადასახლდა და იქ ბავშვებს ასწავლიდა სკოლაში. პარიზში იგი რესპუბლიკის მომხრეთ გაეცნო და მათთან ერთად შედგარი ბრძოლა გამოუცხადა იმპერიას. საფრანგეთ-გერმანიის ომის დროს მიშელი ჯარში შევიდა მოწყალების დად. შემდეგ პარიზში კომუნართა მოძრაობაში მიიღო მონაწილეობა, მათთან ერთად ებრძოდა ქუჩებში მთავრობის ჯარს. მთავრობა სასტიკად მოეკიდა აჯანყებულთ. მრავალი კომუნარი ამოსწყვიტა ჯარმა. დაპატიმრებულ ლუიზა მიშელს მიუსაჯეს საფრანგეთის „კატორგაში“, ახალ კალედონიაში სამუდამოდ სამუშაოებზე გაგზავნა. ენერგიით სავსე ლუიზა, რაც უნდა მდგომარეობაში ჩავარდნილიყო, გულს არ იტეხდა. გრძნობიერი, მოსიყვარულე ქალი, იგი ყოველთვის ივიწყებდა თავის თავს, თავის გაჭირვებას და სულ იმას სცდილობდა, დახმარება გაეწია თავის მოყვასისათვის, შეემსუბუქებინა მათი მძიმე ხვედრი. ლუიზა გემით გაგზავნეს ახალ კალედონიაში, სხვა პატიმრებთან ერთად დაამწყვდიეს გემის ქვედა ნაწილში, სადაც პაწია ფანჯრებიდან მკრთალი ნათელი შედიოდა. ლუიზა მალე გაეცნო პატიმრებს, მალე მოიგო მათი გული და ხელად გამართა სკოლა პატიმართა ბავშვებისათვის. კაცობრიობის ისტორიაში დაუვიწყარ მაგალითად დარჩება ლუიზას ნამდვილ-ადამიანური თავ-განწირულება. თვალ-უწვდენელ ოკეანეში მცურავი საპყრობილე, მაგრად კარ-ჩაკეტილი ბნელი განყოფილება, სადაც მრავლად შეჯგუფულან ულმობელ საზოგადოებრივ წყობილების მსხვერპლნი, სასო-მიხდილნი, სამუდამოდ „კატორგაში“ მიმავალნი და იქვე, პაწია ფანჯარასთან მათი ბავშვები სიყვარულით ეკვრიან ლუიზა მიშელს, რომელიც მათ ანბანს ასწავლის და მშვენიერ ზღაპრებს უამბობს ლუიზა ნამდვილი სანეტარო შუქი იყო ამ ბნელით მოცულ უბედურთათვის. 1880 წელს ლუიზა განთავისუფლეს. იგი პარიზს დაბრუნდა და შეუდგა ანარქისტულ პროპაგანდას, თავის აზრების გავრცელებას. ამის გამო იგი ისევ დაიჭირეს და 6 წლით სატუსაღოში დამწყვდევა მიუსაჯეს, მარტოდ, ცალკე ოთახში. ეს უკიდურესი სასჯელი იყო ლუიზასათვის, რომლის გული მხოლოდ მოყვასთა მიმართ სიყვარულით ჰფეთქდა და ცოცხლობდა. აქაც გული არ გაიტეხა ამ შესანიშნავმა ადამიანმა: მარტოობაში მყოფმა, ადამიანთა სიახლეს მოკლებულმა, იმან ცხოველებს აჩუქა თავისი ოქროს გული, თაგვები

უზნეობა და გახრწნილობაა. გაბოს ბედნიერებაც სწორეთ ამ გვარი იყო და ჩვენ არ შეგვიძლიან თანაგრძნობით შევხედოთ იმას, ვიდრე ამ გარყვნილობს ზღვაში სცოცხლობს; მაგრამ ბედნიერების სურვილი, ბედნიერების ძებნა საყოველთაო გრძნობაა და აგრეთვე საყოველთაოა გრძნობა დაკარგულის ბედნიერებისა. საზიზღარი და ჩვენის ზნეობითის შეხედულების შემაგინებელი გაბო იმდენად განსხვავდება ჩვენგან, რომ პირველის შეხედვით არავითარი ადამიანური ღირსება არა გვსურს ვიცნოთ იმის პიროვნებაში, მაგრამ იმის ცრემლი, იმის ნაღვლიანი ფიქრი უმადურობის შესახებ, იმისი წრფელი მწუხარება დაკარგულის ბედნიერებისა გამო, საყოველთაო სულიერი განწყობილებაა და ჩვენც თანავუგრძნობთ იმის უბედურებას, თუმცა კი თავით ფეხამდე გვძულს ეს ადამიანი, როგორც ბუდე გარყვნილებისა და ზნეობრივ სიმდაბლისა. ადამიანის პატივისცემა, სიყვარული და თანაგრძნობა—აი რა შეადგენს „მეჩექმე გაბოს“ დედა აზრს. ხშირად სხვა-და-სხვა გარემოებანი ისე ღრმად სჩრდილავენ ადამიანის ღირსებას, რომ ადამიანს ვეღარც კი ვხედავთ; იმის ადგილს ხან უგუნურობა სჩანს, ხან უზნეობა და გარყვნილობა, მაგრამ რა გარემოებაშიაც უნდა ჩავგდოთ ადამიანი, ის მაინც ადამიანია და ამიტომ თანაგრძნობის ღირსია. ბ-ნის ადამაშვილის სამივე დღემდე გამოქვეყნებული ეტიუდი („ჩანჩურა“, „უპატრონო“ და „მეჩექმე გაბო“) ამ ზოგადს წარმოდგენაზეა აშენებული და ერთი მეორეზე მეტის ძლიერებით თხოულობენ პატივისცემას და თანაგრძნობას ბედშავ ადამიანებისადმი.

—

გასულს წელს დაიბეჭდა „მოამბე“-ში ბ-ნის არბოლის „ბერუა ქრისტესიაშვილი“, რომელსაც ავტორისაგან განსამარტებლად ასეთი შენიშვნა აქვს დართული: „ამ წინაზე ნახული და გაგონილი ამბავი“, ნამდვილად „ბერუა ქრისტესიაშვილი“ სრულიად არაფერს ამბავს არ წარმოადგენს და უფრო ღირიზმით სავსე პატრიარქალურ ცხოვრების აღწერაა, ვიდრე ამბავი. ბ-ნი არბოლი აგვიწერს ღრმად მოხუცებულ ბერუას ოჯახის ცხოვრებას, რომელიც ოცდაორის სულისაგან შესდგება. ამ ოჯახში ბერუა ნამდვილი ბატონია და ხშვანი კი ყველა იმისი ყმები არიან. ბერუა გლეხკაცია, მაგრამ სახლში არაფერი ნაკლულევანება არა აქვს: სარჩო და ღოვლათი ბევრი მოეპოვება. ბერუას ბედნიერი ცხოვრება, ბ-ნის არბოლის აზრით, დამყარებულია იმ გარემოებაზე, რომ, წინაადმდეგ ჩვენს დროში გავრცელებულის ჩვეულებისა, ბერუას ოჯახის წევრნი არ გაყრილან, თითოეულს მათგანს ცალკე არ დაუწყია სიცოცხლის უღლის ტარება და ყველას ერთად ცხოვრება და მუშაობა უმჯობინებია მოხუც ბერუას საერთო ხელმძღვანელობით. ერთხელ ბერუას რძლებს უსიამოვნობაც ჰქონდათ და ამ უსიამოვნობამ იქამდე მიაღწია, რომ ისინი გაყრას თხოულობდნენ, მაგრამ ბერუამ და იმისმა შვილებმა დაჰჴსაჯეს ქალები და მას შემდეგ ოჯახში თანხმობა და ერთსულოვნება არაფერს არ დაურღვევია.

ბ-ნის არბოლის მომხიბლავი, მდიდარი და ტკბილი ენა თავის თავად უშინაარსო და დაძველებულ აზრებზე აშენებულს „ბერუა ქრისტესიაშვილს“ საამურ საკითხავად ჰქმნის. ბ-ნი არბოლი, თითქოს იმათ გამოსაჯავრებლად, ვინც დღე-მუდამ ქართველის გლეხის უბედურებას, სიმცირეს, ბედშავობას და წრეს გადაცილებულს სიღატაკეს მოგვითხრობს, თავის ახალის ნაწარმოებით გვეუბნება: იცხოვრეთ ძველებურად, პატრიარქალურად და გლეხის ოჯახში ყოველი უბედურობა მოისპობაო. რამდენად მართალია ბ-ნის არბოლის აზრი, ძნელი გამოსაცნობი არ არის. საკმაოა მოვიგონოთ, რომ ძველის პატრიარქალურის ცხოვრება ისტორიულის აუცილებლობით ისპობა, როგორც ერთ-ერთი ნაშთი სამარცხვინო და პიროვნების უარმყოფელ ბატონ-ყმობის სისტემისა. თითქოს თითონ ბ-ნი არბოლიც ჰგრძნობს, რომ იმისი ბერუა ჩვენის დროის გლეხ-კაცი არ არის, თითქოს თითონვე იცის, რომ დღევანდელს პირობებში ბერუას ოჯახი დაუჯერებელი ზღაპარია, და ამიტომ განმარტავს, ეს ამბავი ამ წინაზედ არისო ნახული და გაგონილი. არაფერი უფლება არა გვაქვს ბ-ნს არბოლს არ ვერწმუნოთ და ჩვენც გვჯერა, რომ იმას ეხლახან უნახავს სადმე დიდი და მდიდარი გლეხის ოჯახი, მაგრამ ასეთი ოჯახი მაინც სანთლით საძებნელია და ბელლეტრისტისთვის ის იმ ელემენტებით და იმ მხრივ უნდა იყოს საინტერესო, რომლითაც იგი მომავლისკენ იყურება და არა წარსულისკენ; ბ-ნი არბოლი-კი მხოლოდ თავის ნაწარმოების მიწურულში გვეუბნება, რომ ერთი წევრი ამ ოჯახისა ტფილისის კინტოსავით იყო ჩაცმული, ბავშვობითვე გაქცეულიყო ის ქალაქში და მხოლოდ იშვიათად მოდიოდა ძმებთან და მამასთან სტუმრადაო. მკითხველს ვთხოვთ, მიაქციოს ყურადღება იმ გარემოებას, რომ გამოქალაქებული წევრი ბერუას ოჯახისა კინტოა და არა ხელოსანი ან მუშა, თითქოს პატრიარქალურს ცხოვრებას აბეზარი და უთავბოლო კინტოური ცხოვრება უპირისპირდებოდეს და არა მშვიდი მოქალაქობრივი.

ბ-ნს არბოლს უყვარს, მოსწონს, აღტაცებულია პატრიარქალურის ცხოვრებით, და სიყვარულს ხომ ბევრი რამ შეუძლიან. სწორედ ამის გამო „ბერუა ქრისტესიაშვილი“ საამური საკითხავია და ტკბილის ოცნებების გამაღვიძებელი. კაცს ეგონება, საკმაოა ხვალ გლეხკაცობამ ბ-ნის არბოლის რეცეპტით დაიწყოს ცხოვრება ძველებურად, რომ უცბად დამყარდეს მათ შორის კმაყოფილება და ბედნიერებაო.

„მოამბე“-შივე დასტამბა თავ. ივ. აფხაზის დრამატიული თხზულება „განთიადი“, რომელსაც ისტორიული შინაარსი აქვს საქართველოს წარსულიდამ. მიუხედავად მრავალის თვალსაჩინო ნაკლულევანებისა, ჩვენის ფიქრით, „განთიადი“ მაინც ბევრად სჯობია იმ ისტორიულ დრამებს, რომლებსაც წლითი-წლობით თამაშობენ ჩვენი არტისტები ქართულს სცენაზე. მთავარი აზრი ამ ნაწარმოებისა შემდეგია: საქართველოს თავისუფლების ერთგულ დამცველებს საჭიროდ მიაჩნიათ სამშობლოს კეთილდღეობის მკვიდრს ნიადაგზე დასამყარებლად გაძლიერება და გამტკიცება მეფის უფლებისა. საქართველოს მეფე ალი-ყული-ხანი (იგივე იესე) სპარსეთშია აღზრდილი და გულცივად უცქერის თავის სამეფოს ბედ-იღბალს. ამიტომ ყოვლის უწინარეს წარჩინებული ქართველები საჭიროდ სთვლიან მოიგონ მეფის გული ერთგულებით და მისდამი პატივისცემით. შემთხვევაც სწორედ ხელსაყრელი მოადგებათ კარზე. ქართლის სპასალარი, ქაიხოსრო, დიდად შეურაცხყოფილი მეფისაგან, რომელმაც, ამ საპატიო კაცს ცოლი გაუუპატიურა, საქვეყნოდ უცხადებს მეფეს თავის სამართლიანს სამდურავს და უარჰყოფს იმის პიროვნებაში მეფურს ღირსებას. მეფე სპასალარს გასასამართლებლად საპატიო ქართველებს გადასცემს, რომელნიც ჰგრძნობენ რა ქაიხოსროს სიმართლეს, მაინც საჭიროდ სცნობენ იმის დასჯას სიკვდილით, როგორც მეფის შეურაცხმყოფელს. ქაიხოსროს დამნაშავედ ცნობა დიდს შთაბეჭდილებას ახდენს მეფეზე, რომელიც მხოლოდ ეხლა იგძნობს, რა ძლიერ უყვართ საქართველოს შვილებს თავისი მეფე და რა სასტიკად იცავენ ისინი იმის ღირსებას. აქედამ იწყება მეფის გამობრუნება სამშობლოს სამსახურისთვის, აქედამ იწყება საქართველოს განთიადი.

თა. ივ. აფხაზს კარგადა აქვს აღნიშნული, რომ საქართველოს ისტორიულ ბედშავობის მთავარი მიზეზი მეფურის უფლების სისუსტე და განუმტკიცებლობა იყო. სამწუხაროდ, ეს აზრი ვერ არის განვითარებული ისეთის სიცხოველით და ისეთის სიმტკიცით, როგორც საჭიროა დრამატიულ ნაწარმოებისთვის. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ისეთს სცენებს, რომლებიც არაფერს არა ჰმატებენ დრამას და ტყუილად სჩრდილავენ დედა-აზრს. თითქმის სრულიად არ არის დაპირისპირებული მეფისა და ძლიერის ფეოდალების ძალა და უფლება, დიალოგები ბევრგან მეტად გაჭიანურებულია და ამიტომ მოსაწყენი.

—

ბ. კლდიაშვილის „მიქელას“ შესახებ ჩვენი აზრი ცალკე წერილში გვქონდა გამოთქმული. რაც შეეხება იმავ ავტორის „დარისპანის გასაჭირს“, ეს ერთი ცოცხალი სურათია დასავლეთ საქართველოს ცხოვრებიდამ. გასაჭირი დარისპანისა—ქალის გათხოვებაა, რომლისთვისაც ხშირად არაფერს საშუალებას არ უკადრისობენ. კლდიაშვილის კომედიაში გასათხოვარ ქალებს მათი დედები ერთს უმაწვილს კაცს აშინჯებენ, აკვრევინებენ „ბუზიკას“ და ათამაშებენ, იმ იმედით, რომ იქნება მოიწონოს და შეირთოსო. ბოლოს აღმოჩნდება, რომ ეს უმაწვილი კაცი უკვე დანიშნული ყოფილა. „დარისპანის გასაჭირი“ უფრო ფარსია, ვიდრე სერიოზული კომედია.

გასულ წელს დაიბეჭდა მცირიშვილის დრამა „მეზობლები“, რომელიც ამ წლის რეპერტუარში აქვთ შეტანილი ჩვენს არტისტებს. ამ დრამის შესახებ მაშინ ვიქონიებთ მსჯელობას, როდესაც სცენაზე ითამაშებენ.

—

დასასრულ, არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ ბ-ნ თ. რაზიკაშვილის „წყალი რასა მღეროდა?“ ეს პატარა ეტიუდი თავის შინაარსით არაფერს ინტერესს არ წარმოადგენს, მაგრამ ისეთის გრძნობითა და ისეთის მხატვრულის ენით არის დაწერილი, რომ თამამად შეიძლება ქართულის პროზის სანიმუშოდ გამოიყენოს კაცმა. ბ-ნ თ. რაზიკაშვილის ყოველი სიტყვა, ყოველი წინადადება წმინდა გრძნობით არის სავსე და ამ გულწრფელ გრძნობათა მორევში შეჰყავს იმას თავისი მკითხველი. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ბ-ნი თ. რაზიკაშვილი ასე გულცივად ეკიდება მწერლობას და ასე უნაყოფოდ ხდის თავის უტყუარს ნიჭს.

ზანგი.

მოაშინაურა, ისე შეაჩვია თავი, რომ სრულებით გაუქრო შიში: ისინი გაბედულად მოდიოდნენ მასთან, და ლუიზა თავისი ღარიბ სადილის ნაწილს, პურის ნამცეცებს ურიგებდა თავის პაწია ამხანაგებს.

ხანგრძლივმა პატიმრობამ ვერ გატეხა ლუიზა მიშელი, უფრო გააფოლადა იმისი ხასიათი. როცა იგი საპყრობილედან გამოვიდა, ისევ შეუდგა პროპაგანდას და ისევ დაპატიმრებულ იქმნა. ეხლა იგი ჭკუაზე შეშლილად იცნეს და საგიჟეში გაგზავნეს, რომლიდან მალე განთავისუფლდა მიშელი და ინგლისში გადასახლდა, სადაც გაკვეთილებით ირჩენდა თავს. სიღარიბეში ცხოვრობდა და თავის საყვარელ საქმეზე ხელს არ იღებდა. დროთი-დრო ლუიზა საფრანგეთში მიდიოდა პროპაგანდისათვის. ამ ბოლო დროსაც სამხრეთ-საფრანგეთის დიდ ქალაქ მარსელში იგი კრებებს მართავდა და მხურვალე სიტყვებს ამბობდა ომის წინაამდეგ, ბრძოლის საზარელ სურათებს უხატავდა დამსწრეთ. ამ დროს იგი უეცრად ავად გახდა ფილტვების ანთებით და ოთხი დღის შემდეგ გარდაიცვალა. ლუიზას გასვენებას მრავალი ხალხი დაესწრო, უმთავრესად მუშები, ღარიბი ხალხი, რომელთაც შესწირა თავი ამ შესანიშნავმა მოღვაწემ. ყველას ენაზე ეკერა შემდეგი შემთხვევა ლუიზას ცხოვრებიდან. ჰავრში ერთ კრებაზე ვიღაც ფანატიკოსმა ლიუკასმა რევოლვერი ესროლა ლუიზას და თავში დასჭრა. დამნაშავე შეიპყრეს. ლუიზა იმდენს ეცადა, რომ სასამართლომ გაამართლა ლიუკასი.

წერილები

ფოთი. ახალ წლის მიგებება ძველ აღთქმასთან შედარებით, სულ სხვა ნაირად შესრულდა. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ახალ დროსთან შესახვედრად ლოცვა ღამის 10 საათზე დაიწყო და შუაღამის 12 ½ საათზე გაათავა. ასეთ ახალის აღთქმით ახალ წლის მიგებებას, რომელიც ჩვეულებად რუსეთში ყოფილა, ხალხი ნაკლებად დაესწრო. ქალაქის მკვიდრს უცხო დროს ზარის რეკამ გულის ფანცქალი აუტეხა, რადგან ბევრს ცეცხლი ეგონა.

ახალ წელიწადს აქ შემდეგი ამბავი მოხდა. ორმა პოლიციელმა ხმლით საოცრად დასჭრა ახალგაზრდა ჩილინგარი სანოძე. საქმე ასე იყო: შეზარხოშებულ ხელოსანს ერთ მიკიტანთან უსიამოვნება მოუვიდა. ამაზედ საქმის გამოუკითხავად მიკიტანს თავ-გამოდებით გამოესარჩლა ორი პოლიციელი. გაიმართა ხელ ჩართული ბრძოლა. პოლიციელება უმოწყალოდ იერიში მიიტანეს სანოძეზე და ისე დასჭრეს, რომ მისი მორჩენა საეჭვოა. დაჭრილი რამდენისამე ხნის განმავლობაში საცოდავად ცურავდა სისხლის მორევში, შუაგულ ბაზარში, მაგრამ მშველელი არავინ გამოუჩნდა, სანამ სისხლისაგან სულ არ დაიცალა.

ახალ წლის ღამეს ცეცხლი წაეკიდა ადგილობრივ პოლიციელების სადგომს. დაიწვა ცხენებისა და საპოლიციო ყარაულების ბინა. თვით იმ შენობას, სადაც პოლიციაა მოთავსებული, ცეცხლი არ წაჰკიდებია, მაგრამ ზარალი ბევრი მოუვიდა.

აქაური.

—

ნიკორწმინდა (რაჭა). რაჭა განთქმულია შაშხით. იშვიათია რაჭაში იმისთანი მოსახლე, სადაც ორი ღორი მაინც არ დაიკლას საშაშხეთ შობა-საახალწლოდ. ამ ღორებს რაჭველი ზოგს თვითონ აშენებს, ზოგი იმერეთიდან მოჰყავს. სამწუხაროდ, წრეულს საქმე გაუჭირდა რაჭველს; ღორის ჭირი, სხვათა შორის, რაჭასაც ეწვია კაი ხანია და ბევრი ზარალიც მოუტანა. იქნება უფრო ნაკლები ზარალი ყოფილიყო, რომ ვინმე ყურადღების მიმქცევი იყოს და ჭირისაგან მკვდარს ღორებს მინდორსა და გზებში არა ჰყრიდნენ. ამას გარდა, აქამდის ყოველს შობის წინა კვირაში ჯოგი-ჯოგზე მოჰყავდათ ღორები იმერეთიდან, წრეულს-კი ერთობ ნაკლებად გადმოვიდა და ამიტომ მამასისხლად იყიდება.

შარშან ნაკლები მოსავალი იყო ჩვენსკენ. ამ მიზეზით შემოდგომაზე ჩვენ საზოგადოებიდან ადრეულად წავიდნენ სხვა-და-სხვა მხარეს სამუშაოდ და შინ, ჩვეულებისამებრ, ქალები და მოხუცებულნი დასტოვეს. ქესატობის გამო წასულები ნაკლებ მოგებაში არიან თურმე. შინაურებიც არა სანუგეშო მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. საქმე ის არის, რომ ამას წინად დიდი თოვლი მოვიდა ჩვენში. სამი დღე და ღამე განუწყვეტლად სთოვდა. ყველას სახლების ჩამტვრევისა შეეშინდა და ქალები ნიჩბებით მოედვნენ სახლებს გასათოვლავად, ასე რომ სამი დღე თითქმის სულ სახლის თავებზედ გაატარეს. ამ დიდ თოვლს მოჰყვა თან ნაქერალის მთაზედ ერთის კვირით გზის შეკვრა. ბოლოს, როგორც იყო, მგზავრებმა თხილამურებით გადმოლახეს მთა, მაგრამ რამდენსამე მგზავრს ძვირად დაუჯდა ესა. ისინი რომ შაორის ხიდს მიადგნენ, ხიდზედ გასვლა ვერ გაჰბედეს და ფეხ და ფეხ წყალში გავიდნენ. სანამდის ხარისთვალის დუქნებამდის მიახწევდნენ, ისე გაცივდნენ, რომ ყველას ხელ-ფეხი დააძრათ. ზოგი ისე დაშავდა, რომ ნიკორწმინდიდან ჯალავრით წასაღები გახდა. შაორის ხიდი უსაჭიროესია ამ გზაზედ და უმისოდ აქ სიარული ძნელია, მით უმეტეს რომ გზა არსად შემოევლება. დღეს ეს ხიდი კიპორჭის სამარა არის. კიპორჭიც რომ ხეირიანად იყოს გაკეთებული, კიდევ ჰო, მაგრამ ესეც არ ვარგა. ამის შეეშინდათ მგზავრებს და წყალში იმიტომ გავიდნენ ფეხ-და-ფეხ. კარგი იქნება, ხიდს ყურადღება მიაქციოს იმან, ვისი მოვალეობაც არის.

27 დეკემბერს აქეთ საცოდაობა დატრიალდა. აი, ეს როგორ მომხდარა. თურმე ერთი ხოტეველი კობახიძე შობის წინა დღეს ჩხარში ღორების ჩასყიდლად წავიდა. იყიდა და ტყიბულში მოიყვანა, მაგრამ, რადგანაც იქ დაუვარდა და ვერ იარეს, დაკლა და იქ მიატოვა. თვითონ კი საშობაოდ სახლში მოვიდა და შობის მეორე დღეს მამა და ერთი მეზობელი წაიყვანა ტყიბულში. იქ ორი ოკრიბელი იქირავეს, აჰკიდეს ღორები და წამოვიდნენ. საღამოს ოთხ საათზედ ხარისთვლის დუქნებში მოვიდნენ. ამ დროს ქარი ამოვარდა და მედუქნე არ უშვებდა იმათ, მაგრამ ისინი არ გაჩერდნენ თურმე. გზაში ქარმა მოუმატა და ძრიელი ბუქი ადგა. ოკრიბელები წინ წამოვიდნენ, წისქვილამდის ძლივს მივიდნენ და ღამე იქ დარჩნენ. მაგრამ იმ სამმა კი, გზის დაკარგვის გამო, მთელი ღამე ცის ქვეშ გაატარეს იმ საშინელს ბუქსა და ყინვაში. მეორე დღეს ოკრიბელები ფეხებ მომწვარი ძლივს ნიკორწმინდაში მოვიდნენ და სხვები კი 28 დეკემბერს, ცოცხალ-მკვდარი, გაფიჩხებულები, მგზავრებმა ნახეს და ხარისთვლის დუქნებში მიიტანეს.

ნაქერალიძე

—

ბაქო. ბაქოს ქალაქის საბჭომ 1904 წელს უკანასკნელ თავის კრებაზე, სხვათა შორის, გაარჩია და გადასწყვიტა ერთი საყურადღებო საქმე, რომელიც სხვა ქალაქებისთვისაც მისაბაძი უნდა იყოს. ერთს აქაურ სასწავლებელში, რომელსაც ქალაქი ინახავს თავის საკუთარ ხარჯით, უფროსად იყო ბ-ნი გრიგოლაშვილი. იგი 15 წელიწადს ემსახურა ქალაქს და ემსახურა ერთგულად, სინიდისიერად, დიდი სარგებლობა მოუტანა სასწავლებელს და ყველას მადლობა და პატივისცემა დაიმსახურა, ამიტომ ყველას ეგონა მისი სასარგებლო სამსახური კიდევ დიდ ხანს გასტანდა, მით უმეტეს, რომ ხეირიანი პედაგოგები იშვიათ მოვლენას შეადგენდნენ ჩვენ კუთხეულ მხარეში. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ეს სასარგებლო პედაგოგი მოულოდნელად დათხოვნილ იქმნა ადგილობრივ უფროსებასაგან ისე, რომ არც კი უკითხავთ იმ დაწესებულებისთვის, რომელიც ინახავს თავის ხარჯით სასწავლებელს.

აი სწორედ ეს საყურადღებო საქმე განიხილა ბაქოს საბჭომ წარსულ წლის უკანასკნელ კრებაზე და, დიდის ხნის კამათის შემდეგ, გამგეობის მოხსენების თანახმად, ერთხმად დაადგინა: დაენიშნოს ბ-ნ გრიგოლაშვილს დიდის ხნის ფრიად სასარგებლო და ნაყოფიერ სამსახურისთვის ორმოცდაათი თუმანი პენსია საკვდილამდის, ხოლო მისი უმიზეზოდ და ქალაქის თვით-მართველობის დაუკითხავად დათხოვნა განსაჩივრებულ იქმნას სენატში.

გ. წყალტუბელი

—

ქიზიყი. სიღნაღის მაზრაშიაც, როგორც თელავისაში, ხალხმა თავის თავის დაცვისათვის დაჰკარგა ყოველივე იმედი სხვისაგან და მიჰმართა თავისავე ძალ-ღონეს. 26 დეკემბერს ს. ანაგის საზოგადოებამ მოახდინა ყრილობა. სასოფლოზედ გამართეს თოკის სახრჩობელა და ჩამოჰკიდეს იმავე სოფლის სახელმწიფო ხარჯთ ამკრეფი, რომელსაც ჰბრალდებოდა ფულების გაფლანგვა. მარტო მაშინ დაახწია თავი სიკვდილს, როდესაც იკისრა დანაშაულობა და ფულის ზღვევა. შემდეგ დაადგინეს განაჩენი, რომლის ძალითაც საზოგადოებას უფლება უნდა ჰქონდეს მავნებელი წევრი განსაჯოს და სასჯელიც თვითონვე გადაახდევინოს. განაჩენი წარუდგინეს მაზრის უფროსს დასამტკიცებლად, მაგრამ მან უარი განაცხადა დამტკიცებაზედ. საზოგადოება მაინც განაგრძობს თავის თხოვნას განაჩენის დამტკიცების შესახებ, რისთვისაც თითქმის ყოველ დღე იკრიბებიან სამაზრო სამართველოსთან. ვნახოთ საქმე რით გათავდება.

სოფ. საქობოში მეტად გახშირდა თამბაქოს ჩარდახის დაწვა. ამასწინად ერთ კვირაში ყოველ ღამ ერთიდან სამი ჩარდახი იწვოდა. აქაურ გლეხს თუ რამე დაუშავე, არასოდეს არა სთვლის საჭიროდ სასამართლოს მიჰმართოს. იგი მზად არის გადაგიხადოს თავის ძალ-ღონით.

სოფ. მაშნაარი ერთი პატარა სოფელია ქიზიყში და მდებარეობს სიღნაღიდან ერთის ვერსის მანძილზედ. სოფლის მცხოვრებნი ორას კომლამდის სახელმწიფო გლეხები არიან და მათში არც ერთმა ფარსაგიანი წერა-კითხვა არ იცის. ამ სამის წლის წინად ადგილობრივმა მღვდელმა გ. ღვინიაშვილმა თავის შრომით და ხარჯით დააარსა პირველ დაწყებითი წერა-კითხვის სკოლა და შემდეგ მთავრობის ნებართვით გადააკეთა სამრევლო სკოლად. სწავლას სკოლაში რიგიანი მსვლელობა მიეცა, რამაც ჩქარა მიიზიდა ადგილობრივ საზოგადოების ყურადღება. სკოლის წლიურის ხარჯისთვის არავითარი სპეციალური წყარო არ იყო დანიშნული. მარტო შემოწირულება გარეშე პირთაგან და უფრო ადგილობრივ მღვდლის მიერ საჩუქრად აღებული სიღნაღის მომრიგებელ სასამართლოში მოწმების დაფიცებაზედ, აკმაყოფილებდა სკოლის საჭიროებას. დღეს სამრევლო სკოლების მაზრის მეთვალყურემ გ. ღვინიაშვილი გაანთავისუფლა სიღნაღის სასამართლოში მოწმების დაფიცებისაგან და მით ხსენებულმა სკოლამაც დაჰკარგა წლიურის ხარჯის არსებითი ლუკმა.

სიღნაღელი ლაბჩა

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 7 იანვარი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	93,10
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,80
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,72½
ბირჟის დისკონტი	6,7½%
4% სახელმწიფო რენტა	89¼
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	86⅛
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	414
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	328
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	270
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	237

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოლოპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისი. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:
1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელვის ქუჩა, იქალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონი- მ. გ. შვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივ II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—ზოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ევანგულოვისა	—	1

განცხადებანი

ტფილისის სამარხ კასის

გამგეობას პატივი აქვს აუწყოს თავის წევრთ, რომ დეკემბერში **გარდაიცვალა** ამავე კასის ორი წევრი: 1) **მიქელ სიმონ ს-ძე ხოჩიალაძე** და 2) **ექვთიმე ბეჟან ს ძე დავითაია**, რისთვისაც კასის ყოველმა წევრმა უნდა შემოიტანოს გამგეობის კასაში ორი კვირის განმავლობაში, **თითოზე 1 მ. 25 კ. სულ 2 მ. 50 კაპ.**

ვინც ორი კვირის განმავლობაში არ შემოიტანს ზემო ხსენებულს ფულს 2 მ. 50 კ., მას გადახდება ჯარიმად ზედ მეტი კიდევ ერთი მანეთი.

ფული უნდა წარადგინონ გამგეობის წევრ სოსიკო მერკვილაძესთან (ქაშვეთის ქუჩა, წიგნის მაღაზია „ცოდნა“). (3—7—2)

აფთიაქის მაღაზია ყვირილაში ა. ლ. მაღრაძისა.

1904 წლის პირველი დეკემბრიდან დაბა **ყვირილაში** გაიხსნა **აფთიაქის მაღაზია**, სადაც იყიდება ყოველგვარი წამლები და კოსმეტიური საქონელი.

ადრესი: დაბა ყვირილა. აფთიაქის მაღაზიაში ანთიმოზ ლუკასძე მაღრაძეს.

Адресъ: Въ Квирилы. Аптекарскій магазинъ Антимосу Лукичу Магради.
(10—413—6)

იჯარით გაცემა

საეკკლესიო მამული ტფ. მთაწმინდის მამადავითის ეკკლესიისა ამა 1905 წლის იანვრიდგან სამადლოზე ტფ. მაზრაში კოჯორის ახლოს ზომით 148 **დესეტინა**: ტყეა 35, სახნავი 60, სათივე და საძოვარი 53 დეს. პირობების შეტყობა შეიძლება ხსენებულ ეკკლესიის მღვდელთან ყოველ დღე. (3—2)

№ 4711
სალებავი
თმებისა
კაკლ ს ექსტრაქტისაგან.

ეს სალებავი მშვენიერია. სულ ცოტა ხანში იმ ფერს აძლევს თმას, თუნდა ჭაღარა და წითელიც იყოს, რა ფერიც სასურველია, ღია ფერიდან დაწყებული შავამდე. რაც უფრო ხშირად იხმარება ეს სალებავი, მით უფრო მუქი ხდება თმა. № 4711—ამ სალებავს, კაკლის ექსტრატისაგან დამზადებულს, შეიძლება უპირატესობა მიეცეს ყველა სხვა სალებავთან (თმის) შედარებით. რადგან იგი არავითარ მავნე ნივთიერებას არ შეიცავს.

ფერები:
შავი, ნარინჯი, წაბლის ფერი და ღია ფერი.
პატარა შუშა ღირს 1 მან. 20 კაპ.
დიდი „ „ 2 „ — „
იყიდება ყველა საუკეთესო მაღაზიაში
ფერდ. მიულჰენსი.
რეინის კელნში განყოფილება რიგაში
მისის იმპერატორებით უდიდებულესობის კარის ვაჭარი.
(6—მც.—4).

ამერიკულ ვაზის სანერგეში
კლო-ქვეურეში ქუთაისს
იყიდება 1000 ჯიშის ნერგი:

დამყნილი ძირიანი ვაზი. ლერწი ნამყენი და დასამყნობი. ფესვ-გადგმული ვაზები გასაშენებლად და პირდაპირ ნაყოფიერი გიბრიდები, რომელიც კარგ ნაყოფს იძლევა. განცხადება და პრეისკურანტი უფასოდ. (5—5)

თამბაქოს ქარხანა სავაჭრო სახლის
ნ. ი. ბოზარჯიანცისა და ძ-სა.
(ქარხანა არსებობს 1858 წლიდან)

ჩვენის მუშტარის გასაფრთხილებლად ვაცხადებთ, რომ თამბაქოს ქარხანამ სააქციონერო საზოგადოების

„მირ“-ისა, მ. პ. საფაროვის მემკვიდრეებისა

და სხვათა დაამზადეს პაპიროსები. ეს პაპიროსები ისეთსავე ყუთებში აწყვია, ისეთივე წარწერა აქვს ეტიკეტებზე, აგრეთვე ფორმა კოლოფებისა და ქაღალდის ფერი, როგორსაც ჩვეულებრივ ხმარობს ჩვენი ფირმა, რომლის ნაწარმოებიც მეტად გავრცელდა.

№ 8.	„სიმპატია“ № 15	„ნაროდნია“ № 7	„ეკონომია“ № 16
ფასი 10 ცალი 5 კ.	ფასი 10 ც. 5 კ.	ფასი 10 ც. 3 კ.	ფასი 10 ც. 3 კ.

ამის გამო ვთხოვთ მყიდველთ ამ პაპიროსების მოთხოვნის დროს ყურადღება მიაქციონ.

მთავრობის მიერ დამტკიცებულ ეტიკეტს და საქარხნო ნიშანს. და ყოველ კოლოფზე მოთავსებულ წარწერას.

ნ. ი. ბოზარჯიანცი ძ-ნი.

მუშტრის მოსატყუებლად „მირის“ ქარხანა თავის ნაწარმოებზე იმავე №№, როგორსაც ჩვენი, ასვამს ისეთ ნიშანს, რომელიც ძნელი გასარჩევია ჩვენის სავაჭრო სახლის ნიშნისაგან. სამართალში მივცემთ სიყალბის ჩამდენთ. (10—9)

ექიმის შპინდლერ-ბარნაის
„მარიენბადის რედუქციური აბები“
სიმსუქნის წინააღმდეგ
და საუკეთესო სასაქმებელი საშუალება
თითო კოლოფში ჩალაგებულია 60 აბი.
კოლოფები წითელ ფერის

დართული აქვს აღწერა იმისა, თუ როგორ უნდა მოიხმაროთ საშუალება, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (3. 0—17)

მაღაზია ტფილისში
კ. დ. კობახიძისა
(შუა-ბაზარში, სოლომონოვის ქუჩის კუთხეში).

მიღებულია დიდ-ძალი საეკკლესიო ნივთები, ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვალეულობა. მსურველს გაეგზავნება საქონელი ფას დადებითაც, მხოლოდ უნდა გამოგზავნოს მანეთზე 15 კაპ. ბეთ, მღვდლებს-კი გაეგზავნებათ უბეოდ, მხოლოდ წერილი უნდა იყოს შემოწმებული საეკკლესიო ბეჭედით. საქონელი გაეგზავნებათ იაფ-ფასათ. (ნ.—20—16)



СѢДЕЛЬН СПЕЦІАЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (წ.—176—10)

Доз. ценз. Тифлисъ, 10 января 1905 г.
Элѣктропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.